К 54 767
2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბერტ ბოლნიშვილი

ქართველი ხალხის ეთნოსტრუქტურა მრუდე სარკეში

„მეცნიერება“

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და
ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ ითონიშვილი

К 54.767

ქართველი ხალხის ეთნოსტრუქტურა მრუდე სარკეში

К 54.767-9/2

თბილისი
„მეცნიერება"
1990

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

48.794
2(ი) 28

ნაშრომში გაშუქებულია ქართველი ხალხის ისტორიის მტკივნეული საკითხები, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება როგორც წარსულის შესწავლისათვის, ისე თანამედროვე ეროვნულ პრობლემებში ორიენტირებისათვის. მასში კრიტიკულადაა შეფასებული არაერთი ავტორის მცდარი შეხედულებებიც და ანტიქართული ტენდენციებიც. ავტორმა მრავალი გამოქვეყნებული ნაშრომის მიმოხილვით ამხილა მათი ავტორების მცდელობა, რომ ქართველი ხალხის შემადგენლობიდან გამოთიშონ სვანები, მეგრელები, აჭარლები, იმერლები, თუშები, ხევსურები და ა. შ. ნაშრომში დასაბუთებულია, რომ ქართველი ხალხის ერთობის ხელყოფა, მისი ხელოვნური დაქუცმაცება და ყოველი ეთნოგრაფიული ჯგუფის დამოუკიდებელ ხალხად სახელდება ეწინააღმდეგება ეროვნული მთლიანობისა და თვითშეგნების ინტერესებს. ამდენად, ეს ნაშრომი თანაბრად საინტერესოა როგორც სპეციალისტების, ისე მკითხველთა ფართო წრისათვის, რომ ვიცოდეთ, თუ როგორი ტენდენციური ბრძოლა მიმდინარეობს ქართველი ხალხის ეროვნული ერთობის განმტკიცების საპირისპიროდ.

1989 წლის 27 იანვარს მოხსენდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის მეთოდოლოგიურ სემინარს.

რედაქტორი — ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
უ. სიდამონიძე
რეცენზენტები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გ. გასვიანი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი აკ. კაცაძე

ი $\frac{0505000000}{М\ 607\ (06)—90}$ რეზ. 89

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1990

ISBN 5—520—00889—2

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰუმანიტარულ დისციპლინათა კვლევითს არეალში სრულიად აშკარაა არაორდინალურ სამეცნიერო პრობლემათა იმ ერთი ყველაზე უფრო პრიორიტეტული და უაღრესად პრესტიჟული გა"ყოფილების დომინირება, სადაც იშვიათი აქტუალობით გამორჩეულ საკითხთა შეძლებისამებრ ობიექტურად გაშუქების აუცილებლობა კანონზომიერად აყენებს დღის წესრიგში სათანადო არგუმენტაციას მოკლებული დებულებებისაგან თავის საიმედოდ დაზღვევისა და მხოლოდ აკადემიური, მაღალკვალიფიციური კვლევა-ძიებით დაკმაყოფილების ამოცანას. ამ შემთხვევაში სინამდვილის დამახინჯების ნებისმიერი ცდა, გვარიანად აპრობირებულ და საყოველთაოდ აღიარებულ თვალსაზრისთა ხელაღებით იგნორირება და ამის ნაცვლად წინააღმდეგობებით აღსავსე სუბიექტურ შეხედულებათა წამოტივტივება სერიოზული დაბნეულობისა და ერთობ არაჯანსაღი აჟიოტაჟის წყაროდ შეიძლება იქცეს. ამის კვალობაზე მიზანშეუწონელია მათი შეფასებისას რამდენადმე შემწყნარებლურ, არაპრინციპულ პოზიციაზე დადგომა თითქმის ანბანური ჭეშმარიტების კატეგორიაში აყვანილი და არაიშვიათად თვითდამშვიდების საკმაოდ წამგებიან საშუალებად ქცეული ზოგიერთი ტრაფარეტული თეზისის („არცოდნა-არცოდვა“ ან „ყველას საკუთარი აზრი აქვს“) მექანი-

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

კური დაწინაურების მოტივით. ეს პირველ რიგში ეხება ამა თუ იმ ხალხის ეთნოგენეზისა და ნაციონალური კონსოლიდაციის მეტად მრავალასპექტიანი და დელიკატური პრობლემის სკრუპულოზურად დამუშავებისა და სპეციალურ ლიტერატურაში საბოლოოდ დადგენილი ეთნიკური ნომენკლატურით ზედმიწევნით ზუსტად სარგებლობის სფეროს. ამ უკანასკნელისათვის ალბათ ყველაზე უფრო შეუთავსებელია არასოლიდური, ნაჩქარევი კონცეფციების შემუშავებისა და მით უმეტეს ოფიციალური პუბლიკაციების დონეზე მათი გამომზეურების ტენდენცია. მაგრამ, სამწუხაროდ, სწორედ კვლევა-ძიების ეს საპასუხისმგებლო უბანი არაა თავისუფალი იმ რიგის არსებითი ხარვეზებისაგან, რომელთაც საბოლოო ანგარიშით ეთნიკური თვითშეგნების მკვეთრ გაუკულმართებამდე და პროვინციალიზმის ან აშკარა ნაციონალიზმის ვიწრო ჩარჩოებში გამოკეტილი აზროვნებითი სტერეოტიპების ფორმირებამდე მივყავართ. ყოველივე ეს კი, ცხადია, ერთა და ეროვნებათა შორის ურთიერთობის ისედაც მეტად რთულ პროცესზე მხოლოდ ნეგატიურ ზემოქმედებას ახდენს, რაც განსაკუთრებით დამაჯერებლად ცხადყო მოსახლეობის პოლიეთნიკურობით გამორჩეულ სახელმწიფოთა ისტორიულმა გამოცდილებამ.

ამ მხრივ საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკვანძო საკითხთა კვლევის სფეროშიც ერთობ არასახარბიელო ვითარებასთან გვაქვს საქმე, რისი უყოყმანოდ კონსტატაციის უფლებას გვაძლევს სპეციალურ თუ სამეცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში (უპირატესად არაქართველ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორთა ნაშრომებში), საკავშირო პრესის ფურცლებზე და-
მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით ქართველი
ხალხის ეთნიკური ისტორიისა და ეროვნული კონსოლიდა-
ციის ზოგიერთი საკითხის მეტისმეტად ცალმხრივი, არაიშვი-
ათად ძალზე ზერელე, არაობიექტური ინტერპრეტაციის სა-
ვალალო პრაქტიკა.

საქმე ის არის, რომ უკვე კარგა ხანია სამეცნიერო პუ-
ბლიკაციებში საკმაოდ ფართო გასაქანი ეძლევა სხვადასხვა
პროფილის სწავლულთა მეცადინეობას ქართველი ხალხის
ეთნიკური ისტორიისა და მისი შინაგანი ეთნიკური სტრუქტუ-
რის უმნიშვნელოვანესი საკითხების სრულიად „ახლებურად გა-
შუქების" მიმართულებით, რაც ჩვენთვის გაუგებარი მიზე-
ზით არა იმდენად ქართულ და საბჭოთა ისტორიოგრაფიაში
გაბატონებული სახელმძღვანელო დებულებების კრიტიკული
შეფასების და ფრთხილი გადასინჯვის, რამდენადაც მათი
პირდაპირი უგულებელყოფის ხარჯზე ხორციელდება. ამ
თვალსაზრისით ადრეც განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენ-
დნენ და ამ ბოლო დროს კიდევ უფრო გულმოდგინედ ირჯე-
ბიან საბჭოთა ეთნოგრაფები, რომელთა ნააზრევში უკვე სის-
ტემატურად ვხვდებით კატეგორიულ მინიშნებას ქართველი
ერის შემადგენელი სამი ძირითადი ეთნოლინგვისტური ჯგუ-
ფისა (აღმოსავლურ-ქართული, მეგრული და სვანური) და
აღმოსავლურ-ქართულ ეთნოლინგვისტურ ჯგუფში შემავალი
ცალკეული ლოკალური ეთნოგრაფიული ჯგუფების (მაგ.,
აჭარლების, თუშების, ხევსურების და სხვ.) მკვეთრი ურთი-
ერთგამიჯვნისა და დამოუკიდებელ ხალხებად (ან ჯერ კიდევ
ქართველებთან შერწყმა-დაახლოების პროცესში ჩართულ

ეთნიკურ დანაყოფებად) მათი წარმოჩენის საჭიროებიდან
დენად, პრობლემური ორიენტაცია ძალაუნებურად გვავალებს ესოდენ მცდარი დიფერენციაციის საილუსტრაციო მასალების ვრცლად გამომზეურებასა და მათ თანმიმდევრულ კორექტირებაზე საფუძვლიან გარჯას, რაც საქმის საზიანოდ აქამდეც რამდენადმე დაგვიანდა აღნიშნულ უზუსტობათა მიმართ ჩვენ სწავლულთა (უწინარეს ყოვლისა, პროფესიონალ ეთნოგრაფთა) ზედმეტად ლოიალური ან პასიური დამოკიდებულებების მიზეზით. წინამდებარე ნაშრომი სწორედ ხაზგასმული ხარვეზების ნაწილობრივ აღმოფხვრას ითვალისწინებს, რაც ამჯერად დაყვანილია მხოლოდ ჩვენს მიერ ფიქსირებულ ცდომილებთა ერთობ ფართო ნუსხიდან ყველაზე ნიშანდობლივ უზუსტობათა გამოვლენისა და კრიტიკული შეფასების ცდამდე.

1987 წელს მოსკოვის გამომცემლობა „ნაუკამ" დაბეჭდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ხალხთა მეგობრობის ორდენოსანი მიკლუხო-მაკლაის სახელობის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტიური ნაშრომი „ეთნიკური პროცესები თანამედროვე მსოფლიოში" (რედ. აკად. ი. ბრომლეი), რომლის მე-6 თავის („ეთნიკური პროცესები სსრკ-ში") ერთ-ერთ მონაკვეთში განმარტებულია: „რთული ეთნიკური პროცესები შეინიშნება ამიერკავკასიაში. ფეოდალური გადმონაშთების, განსაკუთრებული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების და სხვა მიზეზების გამო ამიერკავკასიის ერები ეთნიკურად ნაკლებად კონსოლიდირებულნი იყვნენ, ვიდრე აღმოსავლურ-სლავური ერები. დიდი ოქტომ-

ბრის სოციალისტური რევოლუციით განპირობებულმა ძირეულ-
რეულმა გარდაქმნებმა, ნაციონალურ-სახელმწიფოებრივმა
აღმშენებლობამ, ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევამ,
ექსპლუატატორული კლასების ლიკვიდაციამ, ხელი შეუ-
წყო ამიერკავკასიის ერების ეთნიკური ერთობის განმტკიცე-
ბას, აქ თანდათან ქრება ცალკეული ლოკალური ქვედანაყო-
ფებისათვის დამახასიათებელი ეთნოგრაფიული თავისებუ-
რებები. ამიერკავკასიის დიდ ერებსა და მცირე ეროვნებებს
და თავისი წარმომავლობით მონათესავე ეთნიკურ ჯგუფებს
შორის მიმდინარეობს ურთიერთდაახლოება.

სანიმუშოდ შევჩერდებით ქართველი სოციალისტური
ერის შიდაეთნიკური კონსოლიდაციის პროცესზე. მასში იშ-
ლება ეთნოგრაფიული სხვაობანი ქართველთა („грузины")
ლოკალურ ჯგუფებს შორის: **შემდგომი დაახლოება ხდება
ქართველთა („грузины") ეთნიკურ ბირთვს — ქარ-
თველებსა („картвелы") და აღმოსავლეთ საქართველოს
მთიელთა შორის. მიმდინარეობს ქართველური ხალხების
(„картвельские народы") შემდგომი გაერთიანებაც. ქარ-
თველებს („грузины") შეერწყნენ მეგრელები, ლაზები და
სვანები.** მათი უდიდესი უმრავლესობა ფლობს ქართულ
ენას, თუმცა შინაურ ყოფაში მეგრული, ლაზური და სვანუ-
რი ენები ჯერ კიდევ გამოყენებაშია. **მოსახლეობის ამ ნაწი-
ლის ორენოვნება მის ორიარუსიან ეთნიკურ თვითშეგნებას-
თანაა შეფარდებული.** მეგრელების, სვანების, ლაზების უმ-
რავლესობას გაცნობიერებული აქვს თავისი ქართველობა,
მაგრამ ისინი ინარჩუნებენ წარმოდგენას წარსულში გან-
ცალკევებით არსებული და ქართველებთან შერწყმული აღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიშნული ეთნიკური ქვედანაყოფებისადმი თავისი კუთვნილების შესახებაც. **ქართველებს ერწყმიან სხვა ენობრივი ჯგუფების პატარა ხალხებიც, მაგალითად ბაცბები (წოვათუშები)...**"[1] იმავე კრებულის 111-ე გვერდზე კი ნათქვამია: „1939 წ. შემდეგ ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესები როგორც წესი ვლინდებოდა უკვე ფორმირებული ხალხების შინაგან შემჭიდროვებაში და 1959, 1970 და 1979 წწ. მოსახლეობის აღწერების მასალებში ისინი თითქმის არ შეინიშნება. **ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა აჭარლების კონსოლიდაცია ქართველებთან** მათ შორის ეთნოგრაფიულ-რელიგიური განსხვავებულობის ნიველირების კვალობაზე"[2].

როგორც ვხედავთ, დამოწმებული სტრიქონების ავტორები (ი. ბრომლეი, ი. გურვიჩი, ვ. კოზლოვი) ქართველი ერის შიდაეთნიკური კონსოლიდაციის პროცესზე მსჯელობისას, ოფიციალურ ისტორიოგრაფიაში მიღებული დებულებებისა და საყოველთაოდ აღიარებული ეთნიკური ნომენკლატურის საწინააღმდეგოდ, რადიკალურად მიჯნავენ ერთმანეთისაგან ქართველი ხალხის შემადგენელ ცალკეულ ეთნოგრაფიულ ჯგუფებს, რაც შესაშური სიმარტივით ხორციელდება ერთსა და იმავე ხალხში შემავალი სამი ეთნოლინგვისტური ჯგუფის მისამართით ტერმინ „ხალხის" („народ") ნაჩქარევად და სრულიად უსაფუძვლოდ გამოყენების გზით. მათი ნააზრევიდან ძალაუნებურად ისე გამოდის, თი-

---

[1] Этнические процессы в современном мире, ред. Ю. В. Бромлей, М., 1987, с. 128—129.

[2] იქვე, გვ. 111.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თქოს დღესდღეობით რეალურად შეიძლება ლაპარაკი არა საუკუნეების მანძილზე მტკიცედ კონსოლიდირებულ ქართველ ხალხზე, რომელშიც აღირიცხება ამჟამინდელი საქართველოს მიწა-წყლის ფარგლებში მდებარე ან წარსულში საქართველოში შემავალ სხვადასხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მხარეებში მცხოვრები ლოკალური ტერიტორიული ჯგუფები (ქართლელები, კახელები, ქიზიყელები, ინგილოები, თუშები, ფშავლები, ხევსურები, მთიულები, გუდამაყრელები, მოხევეები, ქსნელები, მესხები, ჯავახები, აჭარლები, მეგრელები, ლაზები, გურულები, იმერლები, სვანები, ლეჩხუმელები, რაჭველები), არამედ შიდაეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში ჯერაც ჩართულ ე. წ. **„ქართველურ ხალხებზე“** სვანების, ლაზების, მეგრელებისა და საკუთრივ ქართველების სახით(!).

ამასთან, მკვლევართა მტკიცების თანახმად, დღემდე მიმდინარეობს ქართველებთან (грузины) სვანების, მეგრელებისა და ძირითადად თურქეთის ტერიტორიაზე მცხოვრები ლაზების (!) ვითარცა დამოუკიდებელ ეთნოსთა შერწყმა-გაერთიანების პროცესი. აქვე გატარებულია წინააღმდეგობებით აღსავსე და ერთობ გაუგებარი ის აზრიც, თითქოს ქართველთა (грузины) ეთნიკურ ბირთვს შეადგენენ ქართველები (картвелы) და მათთან, მკვლევართა განმარტებით, თურმე მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელთა (ალბათ როგორც არაქართველთა!) დაახლოება, რომ აღარაფერი ვთქვათ ქართველებისაგან აჭარლებისა და წოვა-თუშების გამოცალკევებისა და დამოუკიდებელ ხალხებად წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჩენის ყოვლად დაუსაბუთებელ ცდებზე. დაბოლოს, ავტორთა კატეგორიული განაცხადი იმის თაობაზე, რომ ფეოდალური გადმონაშთების, განსაკუთრებული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებისა და სხვა მიზეზების გამო ამიერკავკასიის ერები ნაკლებად კონსოლიდირებული იყვნენ აღმოსავლეთსლავურ ერებთან შედარებით, სათანადო არგუმენტაციასაა მოკლებული. ვფიქრობთ, ამგვარი მტკიცებისას, იმ ფაქტის ხაზგასმასთან ერთად, რომ ამიერკავკასიის ხალხების ნაციონალური მთლიანობის განმტკიცებას დიდად უნდა ვუმადლოდეთ ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებას, სავალდებულო იყო ყურადღების აქცენტირება ესოდენ მნიშვნელოვანი ისტორიული მოვლენის წინმსწრებ ვითარებაზეც, როდესაც ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის პირობებში, მეფის რუსეთის ადმინისტრაცია ყოველმხრივ უშლიდა ხელს სწორედ არარუსი ხალხების (ან „ინოროდცების") ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის აღმავლობას. თანაც, ჩრდილში არ უნდა მოქცეულიყო ის მრავლისმთქმელი დეტალიც, რომ კოლონიური მმართველობის დროს კულტივირებული პრინციპის—„დაყავი და იბატონე" პრაქტიკულ რეალიზაციას (რაც ნებისმიერი ერის დაქუცმაცებისა და სრული გადაშენების აუცილებელ პირობად გაიაზრება) მნიშვნელოვანწილად სწორედ ქართველი ხალხის შიდაეთნიკური კონსოლიდაციის ინტენსიური პროცესის ჯეროვანმა არქაულობამ და ჩვენი ხალხის ეროვნული თვითშეგნების საკმაოდ მაღალმა დონემ შეუშალა ხელი. ამდენად, აღნიშნულ გარემოებაზე ავტორთა სრული დუმილი მათ მტკიცებას ერთობ სუბიექტური თეზისის ელფერს ანიჭებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საერთოდ, ზემოთ დამოწმებულ ნააზრევზე დაკვირვებაც პირველ რიგში ლოგიკურად აღძრავს კითხვას იმის შესახებ, თუ მაინც რა მოცულობის ეთნიკური კომპონენტი იგულისხმება ცნება „ქართველის“ („грузин“) ან თავად ქართველთა („грузины“) ეთნიკურ ბირთვად წარმოდგენილი „ქართველების“ („картвелы“) ქვეშ, რომ აღარაფერი ვთქვათ დამოუკიდებელ ხალხებად ქართველების (грузины), სვანების, მეგრელებისა და ლაზების უმართებულო დაყოფის ჩვენთვის უცნობი კრიტერიუმების აუცილებელი გამოვლენით დაინტერესებაზე.

საქმე ის არის, რომ თუ თავს ძალას დავატანთ და პატივცემულ სწავლულთა მსჯელობას სათანადო ნდობას გამოვუცხადებთ (რაც თავისთავად გაუმართლებელია), მაშინ მათი მტკიცებების შეჯერების საფუძველზე სათანადო სიცხადის შეტანა დაგვჭირდება შემდეგ საკითხებში:

1. თუკი განხილული შეხედულებების თანახმად ქართველების (грузины) ე. წ. „ეთნიკურ ბირთვს“ ნამდვილად შეადგენენ ქართველები (картвелы) და მათთან დღესაც მიმდინარეობს აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების დაახლოება, ეს ხომ ძალაუნებურად იმის მანიშნებელია, რომ ქართველი მთიელები ამჯერად ~~ქართველების (грузины) ეთ~~ნიკური ბირთვისაგან — ქართველებისაგან (картвелы) მოწყვეტით განიხილებიან და ამდენად მათი ეთნიკური კუთვნილება ერთობ გაურკვეველი რჩება. იქნებ ჩვენთვის საინტერესო შეხედულებების ავტორთ მიზანშეწონილად მიაჩნიათ აღმოსავლეთ საქართველოს მთიელების ქართველობის ეჭვქვეშ დაყენება?.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. თუ მკვლევარნი ტერმინ „ქართველების“ („картвелы“) ქვეშ გულისხმობენ მარტოოდენ აღმოსავლურ-ქართულ ეთნო-ლინგვისტურ ჯგუფში შემავალ ქართველობას და იმავე ტერმინს, მათი შეხედულებით, შეეფარდება ეთნონიმი— ქართველი („грузины“), მაშინ ხომ „ქართველურ ხალხებად“ ქართველების (грузины), მეგრელების, სვანებისა და ლაზების წარმოჩენის საერთო ფონზე სრულიად ალოგიკურად გამოიყურება დამოუკიდებელ ხალხად მიჩნეული ქართველების (грузины) ეთნიკურ ბირთვად ქართველებისავე („картвелы“) გამოცხადება. განა შეიძლება ერთი და იგივე ეთნიკური ერთობა — ქართველები ერთდროულად დამოუკიდებელ ხალხსაც წარმოადგენდეს და ამ დამოუკიდებელი ხალხის ეთნიკურ ბირთვსაც?

3. თუკი ჩვენთვის საყურადღებო კვალიფიკაციების ავტორებს ეთნონიმების „грузины“ და „картвелы“ შინაარსობრივი იდენტიფიკაციისა და იმავდროულად ქართველების („грузины“), სვანების, მეგრელებისა და ლაზების სხვადასხვა ხალხებად გააზრების კვალობაზე ქართველები („картвелы“) მაინცდამაინც ჯერ კიდევ ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესში ჩართული „ქართველური ხალხების“ ეთნიკურ ბირთვად ჰყავთ წარმოდგენილი, ამით ხომ მათი თეზისი ე. წ. „ქართველური ხალხების“ არსებობის შესახებ თავისთავად ბათილდება, ვინაიდან, ელემენტარული ლოგიკის ძალით, ეთნიკური ბირთვის გამოყოფა მხოლოდ მეტ-ნაკლებად მტკიცედ კონსოლიდირებული ეთნოსის შიგნითაა გამართლებული. ამ დროს, ქართველების („грузины“ // „картвелы“), ვითარცა ერთი კონკრეტული ქართველური ხალხის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიჩნევა ოთხი სხვადასხვა „ქართველური ხალხის“ — სვანეთრივ ქართველების, მეგრელების, სვანებისა და ლაზების ეთნიკურ ბირთვად უბრალოდ სინამდვილის აშკარა დამახინჯების ტოლფასია.

4. დაბოლოს, თუ არ გამოვრიცხავთ იმის შესაძლებლობას, რომ ავტორებს ტერმინი „картвелы“ სახელწოდება „грузины“-ზე უფრო ვიწრო (//კუთხური) შინაარსობრივი დატვირთვით ესმით და მათი გაგებით „картвелы“ ფარავს მხოლოდ აღმოსავლურ-ქართულ ეთნოლინგვისტურ ჯგუფში შემავალ ქართველთა ერთ ნაწილს (მაგ. ქართლელებს), რაშიც ჩვენ სერიოზულად გვეპარება ეჭვი, მაშინ უდავოდ მაღალი კვალიფიკაციის მკვლევართ ალბათ არ უნდა გასჭირვებოდათ ქართველი ხალხის შემადგენელ სხვადასხვა ეთნოტერიტორიულ ჯგუფთა აღმნიშვნელი ტრადიციული სახელწოდებების გულდასმით გაცნობა: ეს ხომ მათ საშუალებას მისცემდა „картвелы“-ის ნაცვლად ხმარებაში შემოეტანათ ტერმინი „картлели“ და ამდენად სწავლულთა ნააზრევიც ბევრად უფრო გასაგები გახდებოდა მკითხველისათვის.

მაგრამ საქმეც სწორედ ის არის, რომ ჩვენთვის საინტერესო შეხედულებები აშკარად წინააღმდეგობრივი აღმოჩნდა იმდენად, რამდენადაც მათ ავტორებს სრულიად არამართებული წარმოდგენა გააჩნიათ სახელწოდება „ქართველის“ (грузин // картвел) გავრცელების არეალზე და აღნიშნული ეთნონიმი მეგრელებისაგან, სვანებისაგან და ლაზებისაგან მექანიკურად გამოცალკევებული ქართველობის ერთ განსაზღვრულ ნაწილზე (ანუ აღმოსავლურ-ქართულ ეთნო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლინგვისტურ ჯგუფში შემავალ მოსახლეობაზე) ფიქსირებულ ეთნიკურ ტერმინად ესახებათ. ვინაიდან ესოდენ მცდარი ნომინაცია აიხსნება ხსენებულ ეთნოგრაფთა გაურკვევლობით ეთნონიმ ქართველის ძველ და თანამედროვე შინაარსში, აგრეთვე ოდითგანვე ქართველური ტომებით დასახლებული საქართველოს ტერიტორიაზე მრავალი საუკუნის მანძილზე მიმდინარე ევოლუციური ეთნიკური პროცესების რეალურ არსში, ნიადაგ აუცილებელია ამ საკვანძო საკითხების მართებული ინტერპრეტაციის შუქზე ჩვენი დამოკიდებულების შეძლებისამებრ მკაფიოდ გამოკვეთა აღნიშნული მცდარი დიფერენციაციის მიზანშეწონილობის მიმართ.

ქართველი ერის შიდაეთნიკური მონოლითურობის უტყუარ ფაქტში სერიოზულად დაეჭვებულ სწავლულთა საყურადღებოდ, უწინარეს ყოვლისა, ზოგადად უნდა განიმარტოს, რომ ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ფორმირებული სხვადასხვა ეთნიკური კომპონენტის ბაზაზე წარმოქმნილი ნებისმიერი ეთნიკური ერთობის ჩამოყალიბება, თითოეული ხალხის ეთნოგენეზი და ეროვნული კონსოლიდაცია მართლაც მეტად რთულ და ხანგრძლივ პროცესს წარმოადგენს. საერთო ტერიტორია, როგორც გარკვეული მიწა-წყლის საზღვრებში დისლოცირებულ, ერთმანეთის მონათესავე ტომთა გაერთიანების ბუნებრივი საფუძველი და საერთო ენა ყოველი ეთნიკური ერთობის (სახელდობრ ეთნოსის) ჩამოყალიბების უმთავრეს პირობას წარმოადგენს. ხოლო ეთნიკური თვითშეგნების შემუშავება, მთლიანად დაფუძნებული საერთო

ეროვნული ბიბლიოთეკა

წარმომავლობის (სისხლით ნათესაობის) გაცნობიერებაზე, ისტორიულად ფორმირებულ ქცევისა და ზნეობის საკუთარი ნორმების, აგრეთვე რჯულის ერთობის შეგნებულად დაცვისა და სრულყოფის ტრადიციაზე (რომელიც მისი შემოქმედი ხალხის კულტურულ-ისტორიული თუ ბიოლოგიური პარამეტრებით მკვეთრად უპირისპირდება სხვა ეთნიკურ ერთობათა ტრადიციათა კომპლექსს) უკვე ჩამოყალიბებული ეთნოსის ერთიან ეთნოსოციალურ ორგანიზმად კიდევ უფრო მტკიცედ შეკვრის მაიმპულსირებელ საფუძვლად გვევლინება. მართალია, გარკვეულ ქრონოლოგიურ პერიოდში სხვადასხვა ობიექტური ფაქტორების ზემოქმედების ძალით ოთქმის არც ერთი ეთნიკური ერთობისათვის არ ყოფილა უცხო ტერიტორიული ურთიერთგათიშულობის, ენობრივი დიფერენციაციის ან ყოფისა და კულტურის ელემენტების ნაწილობრივი შეცვლის მეტად მტკივნეული პროცესები, მაგრამ თუ მათ წევრებს შორის არ განუცდია რღვევა ეთნიკური თავისთავადობის ძირითად მსაზღვრელს — ეთნიკურ თვითშეგნებას, კონკრეტულ ეთნიკურ ერთობას მთლიანობაში მაინც შეუნარჩუნებია თავისი სპეციფიკური, მკაფიოდ გამორჩეული ორიგინალური სახე. ამ შემთხვევაში ისტორიულად ჩამოყალიბებული ეთნიკური ერთობა უკვე ნაკლებად ან საერთოდ აღარ ექვემდებარება ეთნოტრანსფორმაციულ ეთნიკურ პროცესებს, რომლებსაც საბოლოო ანგარიშით ეთნოსის სრულ ასიმილაციამდე, მის ძირფესვიან გადაგვარებამდე მივყავართ.

ამ მხრივ ქართველი ერიც არ წარმოადგენს გამონაკლისს. მანაც ეთნიკური კონსოლიდაციის ხანგრძლივი და

საკმაოდ რთული გზა განვლო, რომლის მაგალითზე ალბათ განსაკუთრებული ეფექტიანობით შეიძლება ეთნიკური ერთობის თეორიის, კერძოდ, მისი ტიპოლოგიური ასპექტის გამოწვლილვითი დამუშავება.

როგორც ქართველი ისტორიკოსების, არქეოლოგების, ეთნოგრაფების, ანთროპოლოგებისა და ენათმეცნიერების მიერ ჩატარებული ფუნდამენტური კვლევა-ძიების შეჯერება ცხადყოფს, ამიერკავკასიის და სამხრეთ-აღმოსავლეთი შავიზღვისპირეთის ტერიტორია იმთავითვე წარმოადგენდა ერთიანი წარმომავლობის მქონე ქართველური ეთნიკური მასის დისლოკაციის ისტორიულ-გეოგრაფიულ რეგიონს. ამ მიწაწყალზე ლოკალიზებულ ავტოხტონურ მოსახლეობას უძველესი ქართველური ფუძეენის მატარებელი მონათესავე ტომები შეადგენდნენ, რომელთაც პირველყოფილ-თემური წყობილების პერიოდში ნიადაგ არ ჰქონიათ ეთნიკური ერთობის მტკიცე შეგნება, რის კვალობაზე აღნიშნული ეპოქისათვის ერთნაირად დამახასიათებელი ჩანს როგორც ეთნიკური კონსოლიდაციის, ისე ეთნიკური დიფერენციაციის არასტაბილური პროცესების თანაარსებობისა და პერიოდული მონაცვლეობის ტენდენცია. სწორედ ამ უკანასკნელის გათვალისწინების ძალით ხერხდება იმ კანონზომიერი მოვლენის საღად შეფასება, რომ დაახლოებით შუა ბრინჯაოს ხანიდან, ძვ. წ. III და II ათასწლეულების მიჯნაზე, უძველესი საერთოქართველური ფუძეენა ქართველურ ენებად დაშლას განიცდის. ამგვარი ენობრივი სხვაობის საფუძველზე თავდაპირველად (ძვ. წ. II ათასწლეულის დასაწყისში) ერთმანეთს დაუპირისპირდა, ერთი მხრივ, ქართველური ტო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მების ჩრდილოური დაჯგუფება (სვანური ტომები), ხოლო მხრივ კი სამხრეთული დაჯგუფება (ქართისა და მეგრულ-ჭანური ტომები), ხოლო მოგვიანებით (ძვ. წ. I ათასწლეულში) ენობრივი დიფერენციაციის აღნიშნული პროცესი ქართველური ტომების სამხრეთულ დაჯგუფებასაც შეეხო, რამაც საბოლოო ანგარიშით განაპირობა ენობრივი ნიშნის მიხედვით ქართისა და მეგრულ-ჭანური ტომების ურთიერთგამიჯვნა.

საყურადღებოა, რომ ასეთნაირი ენობრივი გათიშვა მარტოოდენ უძველეს საერთო-ქართულ ფუძეენას არ განუცდია. ანალოგიური ხასიათის მოვლენა ტიპიურია იმ ეთნიკური ერთობების ისტორიული სინამდვილისთვისაც, რომელთაც, მართალია, ქართველურ ტომებთან შედარებით ბევრად უფრო დაუგვიანდათ ეროვნული კონსოლიდაციის გზაზე მყარად დადგომა, მაგრამ, სამაგიეროდ, მათი ენა დიფერენციაციის ხაზგასმულ პროცესს დაექვემდებარა თავად ამ ენის მატარებელი ხალხების ეროვნული კონსოლიდაციის გაცილებით უფრო მაღალ საფეხურზე. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნიშანდობლივია კონკრეტული მაგალითი წინასლავური ენის დაშლის შედეგად სამხრეთსლავურ და დასავლეთსლავურ ენებთან ერთად წარმოქმნილი ძველი რუსული (ან აღმოსავლურ-სლავური) ენისა (ე. ი. კიევის რუსეთის მოსახლეობის სალაპარაკო ენის), რომელიც XIV ს-ის შემდეგ დაშლილ იქნა რუსულ, უკრაინულ და ბელორუსულ ენებად, რამაც შეასრულა კიდეც გადამწყვეტი როლი ძველი რუსული ეროვნების დაშლასა და დამოუკი-

ეროვნული ბიბლიოთეკა
საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დებელ ხალხებად — რუსების, უკრაინელებისა და ბელორუსების ფორმირებაში.

მართალია, ენობრივი დაყოფის ნიადაგზე ძველი ქართველური ეთნიკური მასაც სამ ძირითად ეთნიკურ-ლინგვისტურ შტოდ აღმოჩნდა გათიშული და ამ სამი მეტ-ნაკლებად იზოლირებული დაჯგუფების შიგნით მიმდინარე ევოლუციური ეთნიკური პროცესების საერთო ფონზე შორეულ წარსულში კანონზომიერად გამოიკვეთა სამ დამოუკიდებელ ეროვნებად მათი ფორმირების პერსპექტივა, მაგრამ, როგორც მოვლენათა ზოგადისტორიულმა მსვლელობამ ცხადყო, მას პრაქტიკული რეალიზაცია არ ეწერა. სამაგიეროდ, არსებული მონაცემების საფუძვლიანი ანალიზი გვაძლევს უფლებას უყოყმანოდ დავასკვნათ, რომ ენობრივი დიფერენციაციის მიუხედავად უძველესი ქართველური მოსახლეობის ეთნოგენეტიკური განვითარების მთელი შემდგომი ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი უპირატესად მაინც ერთმანეთის მონათესავე ქართველური ტომების ამ სამი ძირითადი განშტოების თანდათანობითი ურთიერთდაახლოების, შემდეგ ერთიანი სახელმწიფოებრივი სისტემისა და რჯულის ერთობის პირობებში მიმდინარე ინტენსიური ეთნიკურ-კულტურული და პოლიტიკურ-ეკონომიკური ინტეგრაციისა და საბოლოო ანგარიშით მათი მტკიცე ეთნიკური კონსოლიდაციის (და არა მკვეთრი ურთიერთგათიშულობისა და სხვადასხვა ეროვნებებად ფორმირების ტენდენციის პრივალირების) თანმიმდევრულ ეტაპებად იმსახურებს დაყოფას. ამასთან, ქართველური ტომების ერთიან პოლიტიკურ-ადმინისტრაციულ და სამეურნეო-ეკონომიკურ სტრუქტურაში მოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცევის, ერთიან კულტურულ-ისტორიულ წრეში მათი ერთ-
დათანობითი ადაპტაცია-შერწყმისა და, რაც მთავარია, სა-
ლიტერატურო ენისა და სარწმუნოების ერთიანობის ბაზა-
ზე შემუშავებული ზოგადქართული ეროვნული თვითშეგნე-
ბის ჩამოყალიბებისა და განმტკიცების ურთულესი ამოცა-
ნის ხორცშესხმის ისტორიული მისია საკუთრივ ქართულ
ენაზე მოლაპარაკე ქართის ტომთა დაჯგუფებამ იკისრა.
რამდენადაც ქართის ტომების ერთ-ერთ უძველეს და უმ-
თავრეს სამოსახლო რაიონს და, რაც მთავარია, მათი ეთნი-
კური კონსოლიდაციის ძირითად კერას ისტორიულ-ეთნო-
გრაფიული ქართლი წარმოადგენდა, სავსებით კანონზომიე-
რია ის, რომ ქართველური ეთნიკური მასივის ამ ყველაზე
უფრო დაწინაურებული და გააქტიურებული კომპონენტისა
და მისი კომპაქტური დისლოცირების ძირითადი ტერიტო-
რიის აღმნიშვნელმა სახელწოდებებმა („ქართლი“→„ქარ-
თელი“→„ქართველი“; „ყოველი ქართლი“→„საქართველო“)
დროთა განმავლობაში ფართომასშტაბიანი დიფუზია განი-
ცადეს ჯერ ისტორიულ-ეთნოგრაფიული ქართლის ფარ-
გლებს გარეთ მცხოვრები ქართველური მოსახლეობისა და
ამ უკანასკნელის (ძირითადად კი ქართულენოვანი ელემენ-
ტის) მიერ დაკავებული მიწა-წყლის, ხოლო შემდეგ უკვე
მთელი საქართველოსა და ქართველობის აღმნიშვნელ ზოგად
ცნებებად ფორმირების მიმართულებით. ამავე დროს, მათ
დიდი ხნის მანძილზე შეინარჩუნეს თავდაპირველი, შედა-
რებით ვიწრო, კუთხური შინაარსობრივი დატვირთვაც, რაც
გულისხმობდა ტერმინების „ქართლის“ და „ქართველის“
(// „ქართელის“) ტრადიციულ გამოყენებას ერთი განსა-

ზღვრული ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის — ქართლისა და მისი მოსახლეობის — ქართლელების მისამართით. მაგრამ, თუკი ქართლის ტომთა ჰეგემონობით წარმართული ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის წარმატებით დაგვირგვინებისა და ერთიანი საქართველოსა და ქართველი ეროვნების ფორმირების შემდეგ ეთნონიმ „ქართველს“ სამმაგი შინაარსობრივი დატვირთვით (1. ქართლის, ვითარცა დამოუკიდებელი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მოსახლეობის, 2. ისტორიულ-ეთნოგრაფული ქართლის ტერიტორიაზე და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები და საბოლოოდ ქართიზირებული ქართველური მოსახლეობის, ანუ ქართულენოვან მოსახლეობად ფორმირებული ქართველური ეთნიკური მასივის და 3. მთელი საქართველოს მკვიდრი ქართველური მოსახლეობის აღსანიშნავად) ხმარებული ტერმინის ფუნქცია გააჩნდა, მოგვიანებით (დაახლოებით XIX ს-დან) ჩვენთვის საინტერესო ისტორიულ-ეთნოგრაფიული ნომინაციის სფეროში საბოლოოდ გაბატონდა იგივე სახელწოდების რამდენადმე ტრანსფორმირებული ვარიანტი, თავის დროზე სწორედ „ქართველის“ სინონიმური მნიშვნელობის მქონე (თუმცა გაცილებით უფრო იშვიათად გამოყენებული) სახელწოდება „ქართლელის“ სახით, რომელსაც ამჯერად უკვე მარტოოდენ ქართლელებზე, როგორც ქართველი ხალხის ერთ კონკრეტულ ტერიტორიულ ჯგუფზე დავიწროვებული კუთხური ტერმინის როლი დაეკისრა. შესაბამისად, სახელწოდება „ქართველმაც“ მხოლოდ მთელი ქართველი ხალხის აღმნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვნელი შემკრებლობითი ეთნონიმის ღირებულება შეიძინოს, რაც მას დღემდე არ დაუკარგავს.

მართალია, საუკუნეების მანძილზე ქართიზირებულმა მეგრელებმა და სვანებმა თავიანთ ენებში გვიანობამდე შემოინახეს საერთო წარმომავლობის მქონე ქართველური მოსახლეობის ძირითადი ეთნიკური ბირთვის — ქართლელების ირგვლივ კონსოლიდირებულ ქართულენოვან (ან ქართიზირებულ) ტომთა ერთი მთლიანი მასივის მისამართით შორეული წარსულიდან შედარებით ვიწრო გაგებით გამოყენებული შემკრებლობითი ტერმინი „ქართველი“ (მეგრ. „ქორთუ“-ს ან სვან „მგქართ“-ის ფორმით), მაგრამ, სამაგიეროდ, მათსავე ცნობიერებაში თვითსახელწოდების მნიშვნელობით დიდი ხნის წინ ღრმად გაიდგა ფესვები, ერთი მხრივ, გაცილებით უფრო ფართო გაგებით (— მთელი ქართველობის და არა მარტო საკუთრივ ქართულ ენაზე მოლაპარაკე თანამოძმეთა აღსანიშნავად) ხმარებაში დანერგილმა ეთნონიმმა — „ქართველი“, მეორე მხრივ კი, მხოლოდ ქართლელთა მისამართით შედარებით გვიან გამოყენებაში დამკვიდრებულმა ტერმინმა — „ქართლელი“. ამდენად, მეგრელებიც და სვანებიც ბუნებრივად დაექვემდებარნენ ერთიანი ქართველი ხალხისადმი თავისი უდავო ეთნიკური კუთვნილების მტკიცე შეგნებაზე დაფუძნებულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ნომინაციას, რომლის ძალით მათთვის დიდი ხანია აღარაა უჩვეულო თვითსახელწოდებად ეთნონიმ „ქართველის“ ტრადიციული დომინირება, ხოლო რაც შეეხება მეგრულ და სვანურ ენებში არქაული ტერმინის — ქართველის (ქორთუ-ს ან მგქართ-ის) კონსერვაციის ფაქტს, ეს უკანასკნელი პრაქტიკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად უკვე აღარაფერს ამბობს ხსენებულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთათვის ოდესღაც დამახასიათებელი (მაგრამ შემდგომში თითქმის ბოლომდე წაშლილი) ორიარუსიანი ეთნიკური თვითშეგნების სასარგებლოდ. დღესდღეობით, მეგრელებიც და სვანებიც თუკი რაიმე ნიშნის მიხედვით გამოყოფენ თავს დანარჩენი ქართველებისაგან, ამ რიგის პრაქტიკა ნიადაგ არ სცილდება მხოლოდ ერთი მთლიანი ხალხის შემადგენელი ლოკალური ჯგუფებისათვის სპეციფიკური კუთხურობის ჩარჩოებს.

მაშასადამე, საუკუნეების მანძილზე აპრობირებული ეთნიკური ნომენკლატურის საბოლოოდ დაზუსტებული სურათის თანახმად, სახელწოდება „ქართველს" უკვე დიდი ხანია მთელი ქართველი ხალხის აღმნიშვნელი ტრადიციული ეთნონიმის ღირებულება გააჩნია, მაშინ როდესაც მის პარალელურად ხმარებული და ასევე საკმაოდ ასაკოვანი სახელწოდებები: „ქართლელი", „მეგრელი" (ან „ზანი"), „სვანი", „ლაზი" (ან „ჭანი"), „აჭარელი", „კახელი" (ან „კახი"), „ქიზიყელი", „იმერელი", „მესხი", „ჯავახი", „გურული", „რაჭველი", „ლეჩხუმელი", „თუში", „ხევსური", „ფშაველი", „მოხევე", „მთიული", „გუდამაყრელი", „ქსნელი", „ინგილო" კუთხური გაგებით ქართველი ხალხის ცალკეულ ლოკალურ ტერიტორიულ ჯგუფებს ფარავს*.

---

* ქართველი ეთნოსის შემადგენლობაში აღირიცხებიან აგრეთვე საქართველოს ფარგლებს გარეთ მცხოვრები იმერხევლები (თურქეთში) და ფერეიდნელები (ირანში), რომელთა დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, ეთნიკური ასიმილაციის ინტენსიურ პროცესშია ჩართული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვე აუცილებელია საგანგებოდ განიმარტოს, რომ და-
მოწმებულ ნომინაციაში თავისი რელიეფური ასახვა ჰპოვა,
ერთი მხრივ, ქართველობის ოდინდელმა დაყოფამ ტომო-
ბრივი ნიშნის მიხედვით და ქართველთა ერთი ნაწილის (კერ-
ძოდ ინგილოების) კონფესიურ სპეციფიკაზე სათანადო მინი-
შნების გვიანდელმა პრაქტიკამ, ხოლო, მეორე მხრივ, სა-
ქართველოს მიწა-წყლის ისტორიულ-გეოგრაფიული და ტე-
რიტორიულ-პოლიტიკური დარაიონების ძირძველმა ტრადი-
ციამ. ამის შესაბამისად ჩვენთვის საინტერესო სიაში სახეზე
გვაქვს როგორც თავდაპირველი ტომობრივი დიფერენცია-
ციის გამომხატველი სახელწოდებები („კახელი“ ან „კახი“,
„თუში“, „მესხი“, „ჯავახი“, „მეგრელი“ ან „ზანი“, „ლაზი“
ან „ჭანი“, „სვანი“), ისე შედარებით უფრო გვიან გაჩენილი
და აშკარად ისტორიულ-ტოპოგრაფიული (ან აღწერილობი-
თი, ტერიტორიულ-ტოპონიმიკური) წარმომავლობის სახელე-
ბი („ქართლელი“, „იმერელი“, „გურული“, „რაჭველი“,
„აჭარელი“, „ლეჩხუმელი“, „ხევსური“, „ფშაველი“, „მთიუ-
ლი“, „გუდამაყრელი“, „მოხევე“, „ქსნელი“, „ქი-
ზიყელი“), აგრეთვე თურქულ სიტყვა „ენგილავი“-დან
(=„ახლადმოქცეული“) მომდინარედ მიჩნეული ტერმინი
„ინგილო“. ამასთან, ყურადღებას იქცევს ერთი არანაკლებ
საგულისხმო დეტალიც. თუკი უწინდელ ტომობრივ პარცია-
ციასთან შეფარდებული ზოგიერთი სახელის (მაგ. „სვანი“,
„ლაზი“ ან „ჭანი“, „მესხი“, „ჯავახი“, „კახი“, „თუში“) და მა-
თთან ერთად „ინგილო“-ს წარმოქმნა ქრონოლოგიურად რამ-
დენადმე უსწრებს იმავე სახელწოდებების მატარებელ ქარ-
თველ ტომთა და ერთი განსაზღვრული ტერიტორიული

ჯგუფის (— ინგილოების) სამოსახლო რაიონების ეთნიზმენელ ტრადიციულ სახელწოდებათა ხმარებაში დანერგვის ეტაპს („სვანი“—„სვანეთი“; „ლაზი“ ან „ჭანი“—„ლაზეთი“ ან „ჭანეთი“, „მესხი“→„მესხეთი“; „ჯავახი“→„ჯავახეთი“; „კახი“ → „კახეთი“; „თუში“ → „თუშეთი“; „ინგილო“ → „საინგილო“), სხვა სახელწოდებები, პირიქით, თვითონაა ნაწარმოები შესაბამისი ისტორიულ-გეოგრაფიული მხარეებისათვის შერქმეული სახელწოდებებისაგან (ასე, მაგ.: „ხევი“ → „მოხევე“; „გუდამაყარი“ → „გუდამაყრელი“; „ფშავი“ → „ფშაველი“; „რაჭა“ → „რაჭველი“; „აჭარა“ → „აჭარელი“ და ა. შ.). თუმცა შენიშნული სხვაობა, ცხადია, ოდნავადაც ვერ გახდის სადავოს ჩამოთვლილი სახელწოდებების ერთნაირი შინაარსობრივი დატვირთულობის (IV ქართველი ხალხის შემადგენელ სხვადასხვა ტერიტორიულ ჯგუფთა აღმნიშვნელ ტერმინებად ფუნქციონირების) და ეთნონიმ „ქართველის“ ზოგადი მნიშვნელობით დომინირების უკვე ხაზგასმულ ფაქტს.

საერთოდ, არ შევცდებით, თუ საგანგებოდ შევნიშნავთ, რომ ესოდენ სტაბილურ სიტუაციას ქართველი ერის შემადგენელ ეთნოტერიტორიულ ჯგუფთა სახელდების სფეროში პირველ რიგში სწორედ ჩვენი ხალხის ეთნიკური კონსოლიდაციის პროცესის ეფექტიან დასრულებასა და ერთობ შორეულ წარსულში შემუშავებული, ხოლო შემდგომში ახალ სიმაღლეზე აყვანილი ეთნიკური თვითშეგნების ჯეროვანი სიმტკიცის ფაქტორს უნდა ვუმადლოდეთ. ამასთან დაკავშირებით კი ძალაუნებურად გვახსენებს თავს ჯერ კიდევ X და XVIII სს-ის ავტორების — გიორგი მერჩულისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ვახუშტი ბაგრატიონის შემდეგი კლასიკური ფორმულირებანი:

„... არამედ ქართლად ფრიადი (ე. ი. მრავალი. — ვ. ი.) ქუეყანა აღირაცხების, რომელსაცა შინა ქართულითა ენითა ჟამი შეიწირვის და ლოცვაჲ ყოველი აღესრულების...“[3] ან კიდევ:

„... უკეთუ ჰკითხო ვისმე ქართველსა (აქ სიტყვა „ქართველი“ ძველი, შედარებით ვიწრო გაგებით, შეეფარდება „ქართლელს“ — ვ. ი.) ანუ იმერსა (აქ „იმერი“ ფარავს მთელი დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას. — ვ. ი.), მესხსა და ჰერკახსა რა რჯული ხარ, წამს მოგიგებს: „ქართველი“. მეორედ, არს ამათ ყოველთა წიგნი და ენა ერთი— იგივე ფარნაოზ პირველისა მეფისაგან ქმნული: და ჰკითხო რა წინთქმულთა მათ კაცთა: „რა ენა და წიგნი უწყი“, მოგიგებს მყის: „ქართული“. რამეთუ არა იტყჳს, არცა რჯულსა, ენასა და წიგნსა იმერთასა, ანუ მესხთა და ჰერ-კახთა, არამედ ქართულსაო“[4].

არანაკლებ ნიშანდობლივია აგრეთვე 1790 წლით დათარიღებული „ერთობის ტრაქტატი ივერიელთა მეფეთა და მთავართა“, რომელშიც იშვიათი თვალსაჩინოებითაა ფოკუსირებული ქართველი ერის („ერი საქართველოსაჲ“) ნაციონალური მთლიანობის ურყევი, საუკუნეების სიღრმიდან მომდინარე ოფიციალური კონცეპცია: „... ვინაიდგან ყო-

---

3 გიორგი მერჩული, ცხორებაჲ გრიგოლ ხანძთელისაჲ, „ძველი ქართული ლიტერატურის ქრესტომათია“, I, თბ., 1946, გვ. 132.

4 ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 291—292.

ველთავე ივერიელთა, მსახლობელთა სამეფოსა შინა ქართლისა, კახეთისა, იმერთა, ოდიშისა და გურიისთა, აქვსთ ერთმორწმუნება, არიან ძენი ერთისა კათოლიკე ეკლესიისაგან შობილნი და ერთის ენისა მქონებელნი, აქვსთ მავასხებლობითიცა სიყვარული, ვითარცა სისხლით ნათესავთა და მოყვრობით შეკრულთა ურთიერთთა შორის, ამისთვის ჩვენ, ზემოხსენებულთა ქვეყანათა ივერიისათა მეფენი და მთავარნი... აღუვსთქვამთ"[5].

ვფიქრობთ, მოყვანილი მტკიცებებიც სავსებით საკმარისია, ერთი მხრივ, ეთნოგრაფიულ ცნება „ქართლის" თავდაპირველი შინაარსის ინტენსიური გაფართოებისა, ხოლო მეორე მხრივ, ხსენებული პროცესის დასრულების შედეგად ზოგადად საქართველოსა და მთელი ქართველობის აღმნიშვნელ ცნებებად ტერმინების „საქართველოსა" და „ქართველის" საბოლოოდ გაბატონების და, რაც მთავარია, ზოგადქართული ნაციონალური თვითშეგნების სიმტკიცის ფაქტის რეალურობის დასასაბუთებლად. ამდენად, მარტოოდენ დამოწმებულ მონაცემებსაც თავიანთი ხანდაზმულობის მიუხედავად, გარკვეული სარგებლობა შეუძლია მოუტანონ საქართველოს ძველ და თანამედროვე ეთნონიმიკაში არასაკმარისად გათვითცნობიერებულ მკითხველს და მითუმეტეს ეთნიკურ ნომენკლატურაზე ბუნდოვანი წარმოდგენის მქონე მკვლევართ.

---

5 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, ი. დოლიძის რედ., თბ., 1966, გვ. 501.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხადია, ყოველივე წინთქმულის გათვალისწინებით ფუძველზე დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ქართველი ხალხის დაყოფა ე. წ. „ქართველურ ხალხებად“ — საკუთრივ ქართველებად, მეგრელებად, ლაზებად და სვანებად, რაც მიზანშეწონილად ჩათვალეს ჩვენს მიერ განხილული კრებულის ავტორებმა, სრულიად გაუმართლებელია. ვიმეორებთ, მტკიცე შინაგანი მონოლითურობით გამორჩეული ეთნოსის ამგვარ ხელოვნურ სეგმენტაციას არაფერი აქვს საერთო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილესთან.

არანაკლებ უხეშ შეცდომას წარმოადგენს აგრეთვე იმის კატეგორიული მტკიცებაც, თითქოს მეგრელების, სვანების და ლაზების ორენოვნება შეესაბამება მათ ორიაოუსიან ეთნიკურ თვითშეგნებას, რაც თურმე გამოიხატება მეგრელთა, სვანთა და ლაზთა უმრავლესობის მიერ ქართველი ეთნოსისადმი თავიანთი უდავო კუთვნილების აღიარების პარალელურად „ქართველური ხალხების“ დონეზე წარმოჩენილი ამ სამი „ეთნიკური დანაყოფისადმი“ თავისი იმავდროული კუთვნილების მტკიცედ შეგნების შენარჩუნების ფაქტში.

ვითარების ასეთნაირი შეფასებიდან ჩვენთვის მისაღებია მხოლოდ ის პუნქტი, რომ მეგრელებიც, სვანებიც და საქართველოში მცხოვრები ლაზებიც, მართლაც, თვლიან თავს ქართველებად (ოღონდ გლობალური მასშტაბით და არა მხოლოდ „უმრავლესობის“ დონეზე), ხოლო რაც შეეხება მათში მყარად „გამჯდარ“ კუთხურ თვითშეგნებას, ეს უკანასკნელი ერთნაირად დამახასიათებელია საქართველოს ნებისმიერი სხვა ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მკვიდრთათვისაც (ქართლელებისათვის, კახელებისათვის, გურულებისათვის,

აჭარლებისათვის, თუშებისათვის და ა. შ.), რის გამოც ასეთ სმულ მოვლენას ნამდვილად ვერ მივანიჭებთ მაინცდამაინც „ორიარუსიანი ეთნიკური თვითშეგნების“ არსებობის დამამტკიცებელი საბუთის მნიშვნელობას. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენთვის საინტერესო კვალიფიკაციის ავტორებს რატომღაც გაუძნელდათ კონკრეტული ეთნოსისათვის სპეციფიკური ეთნიკური თვითშეგნებისა და იმავე ეთნოსის შემადგენელი ცალკეული ეთნოტერიტორიული ჯგუფებისათვის ტიპიური კუთხური თვითშეგნების, ვითარცა ფორმითაც და შინაარსითაც ორი არაიდენტური მოვლენის რადიკალური ურთიერთგამიჯვნა, რაც სამართლიან გაკვირვებას იწვევს.

არანაკლებ სერიოზულ საფიქრალს გვიჩენს წოვა-თუშების ქართველებისაგან უყოყმანოდ გამოცალკევებისა და „მცირე ხალხად“ მათი გამოცხადების ცდაც, რაც ამჯერად უკვე მთლიანად ემყარება ქართველი ხალხის ამ ორგანული ნაწილის არაქართული წარმომავლობის ერთობ ორდინარული და, რაც მთავარია, მეტისმეტად საეჭვო ღირებულების ფაქტის მექანიკურ დაწინაურებას. მაგრამ წოვა-თუშთა ეთნიკური ვინაობის საკითხისადმი ასეთი არამართებული და აშკარად ნაჩქარევი მიდგომისას რატომღაც ხელაღებითაა იგნორირებული წოვა-თუშების ქართიზაციის (კერძოდ, ენობრივი ნიშნის მიხედვით ქართულენოვან ისტორიულ-კულტურულ გარემოში მათი ჯეროვანი ადაპტაციის) საკმაოდ ინტენსიური პროცესის სათანადო არქაულობის ფრიად საგულისხმო მომენტი, რამაც კანონზომიერად დააზღვია წოვა-თუშები ეთნიკური დივერგენციის პროცესში რამდენადმე აქტიური ჩართვისაგან და მათი ეთნიკური იზოლაციის (და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკიდებელ ეთნოსად ჩამოყალიბების) ნაცვლად კარგად ნია განაპირობა ძირითადი კულტურულ-ისტორიული პარამეტრების მიხედვით წოვა-თუშების საბოლოო ფორმირება ქართველი ხალხის თვითმყოფადი ეთნოგრაფიული ჯგუფის — თუშების ერთ-ერთ თემად (ჩაღმის, გომეწრისა და პირიქითის ანუ ფარსმის თუშებთან ერთად). თავად კუთხური თვითსახელწოდება „წოვა-თუშიც“ ხომ ნათქვამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს. ამიტომ ქართველი ხალხის განუყოფელ კომპონენტად წოვა-თუშების მიჩნევის აუცილებლობაზე დღეს აღარ უნდა გვჭირდებოდეს ლაპარაკი.

კიდევ უფრო მიუტევებელ შეცდომად გვესახება ქართველებისაგან აჭარლების გამოყოფა, რაც არაჩვეულებრივი სიმარტივით ხორციელდება აჭარელთა, როგორც საქართველოს ერთ-ერთი უძველესი ისტორიულ-ეთნოგრაფიული მხარის მკვიდრთა, თავისთავადობის განმსაზღვრელი ეთნოგრაფიულ-რელიგიური ნიშნების მნიშვნელობის ცალმხრივი იდეალიზაციის წყალობით. რასაკვირველია, ასეთნაირი დიფერენციაციაც აშკარად ხელოვნურია, ვინაიდან ცალკეული ეთნოგრაფიული თუ რელიგიური ნიშნების მიხედვით საქართველოს სხვადასხვა კუთხეების მკვიდრთა შორის არსებული სხვაობა არა მათ გათიშულობაზე მეტყველებს, არამედ ამ კუთხეებში განსახლებულ ეთნოტერიტორიულ ჯგუფთა მართლაც უდავო თვითმყოფადობის მაპროფილებელი კულტურულ-ყოფითი ელემენტების ნაირგვარობაზე, საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილეში იშვიათი მრავალფეროვნებით დადასტურებული და მეტ-ნაკლებად გახმაურებული კუთხურობის ფენომენის რეალურად არსებობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არადა, ამის მტკიცების საჭიროება, პრინციპში, არც ჩანს იმდენად, რამდენადაც საყოველთაოდ ცნობილია, რომ ნებისმიერი ერის ნაციონალური კონსოლიდაციის პროცესის აღმავლობა სრულებითაც არ გულისხმობს მისი შემადგენელი ლოკალური ჯგუფებისათვის სპეციფიკური კულტურულ-ყოფითი ელემენტების აუცილებელ ნიველირებას. პირიქით, თითოეული ხალხი ეთნოგრაფიული თვალსაზრისით რამდენადმე ღირსშესანიშნავ, და, რაც მთავარია, სხვა ერებისაგან თუ ეროვნებებისაგან გამორჩეულ ეთნიკურ ერთობას მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოადგენს, თუკი მისი შინაგანი მონოლითურობის განმტკიცების კვალობაზე ბოლომდე არ იშლება და უკვალოდ არ ქრება კონკრეტული ეთნოსის სამოსახლო ტერიტორიის ფარგლებში ლოკალიზებული სხვადასხვა კუთხეების მცხოვრებთათვის ოდითგანვე დამახასიათებელი კულტურულ-ყოფითი თავისებურებები.

ცხადია, ყოველივე წინთქმულით ჩვენ სულაც არ გვინდა იმ უტყუარი და ამასთანავე ერთობ ცალმხრივად გაგებული ფაქტის უგულებელყოფა, რომ აჭარლები, ისევე როგორც ამჟამად აზერბაიჯანში მცხოვრები ინგილოები, დანარჩენი ქართველებისაგან ეთნოგრაფიულ-რელატიური თვალსაზრისით, ნამდვილად გამოირჩევიან იმდენად, რამდენადაც რეალურად წარმოადგენენ ერთი განსაზღვრული ეთნოსის შემადგენელ ლოკალურ ეთნოკონფესიონალურ ჯგუფებს*. აკი დაახლოებით ასეთივე ტიპის ან რამდენადმე გან-

---

* როგორც ცნობილია, აჭარელთა და ინგილოთა დიდი ნაწილი მაჰმადიანია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვავებული ხასიათის ეთნოკონფესიონალური ჯგუფების აღრიცხვა ხერხდება მრავალი სხვა ეთნოსის შიგნითაც, როგორებიცაა, მაგალითად, ხემშინები — სომეხი ხალხის შემადგენლობაში, ლატგალები—ლატვიელი ხალხის შემადგენლობაში, სეტუ — ესტონელების შიგნით, კერჟაკები, ბუხტარმელები, სტაროობრიადცები, მოლოკნები — რუსი ეთნოსის ფარგლებში, მენონიტები — გერმანელების შიგნით, „პოლონელები“ და „ლიტველები“ — ბელორუსი ხალხის შიგნით (ამჯერად ტერმინები „პოლონელი“ და „ლიტველი“ ისეთსავე პირობით და არაპირდაპირი მნიშვნელობით აღსაქმელ ცნებებად წარმოგვიდგება, როგორებადაც საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ წარსულში გვევლინებოდა სახელწოდებები „ფრანგი“ და „სომეხი“, არაიშვიათად შეფარდებული კათოლიკე და გრიგორიანი ქართველების ჯგუფებთან), გებრები და პარსები — სპარსელების შიგნით, ვალდენსები — იტალიელების შიგნით, ნუსაირიტები, დრუზები, მარონიტები, მანდეელები — არაბების შიგნით, მუსლიმანები და ინდუისტები — ბენგალელი ხალხის ფარგლებში, ფრანგი-რეფორმისტები — ფრანგების შიგნით, კათოლიკე შვედები, კათოლიკე ინგლისელები, ლუთერიანელი სლოვაკები, მუსლიმანი მაკედონელები, მუსლიმანი ჩერნოგორელები, მართლმადიდებელი ალბანელები და კათოლიკე ალბანელები, იეზიდები — ქურთების შიგნით, კრიაშენები და ნადაიბაკები — თათრების ფარგლებში და ა. შ. მაგრამ თუკი ზოგიერთი ეთნოსის განსაზღვრული ნაწილის კონფესიონალურმა კუთვნილებამ ცალკეულ ქვეყნებში მართლაც შეასრულა ახალი ეთნიკური ერთობების მაწარმოებელი უმნი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შვნელოვანესი მოდუსის როლი და მთელ რიგ შემთხვევებში ეთნოკონფესიონალური ჯგუფის მიერ შემუშავებულმა ორმაგმა ეთნიკურმა თვითშეგნებამ კანონზომიერად განაპირობა მათი ფორმირება კონკრეტული ეთნოსის სუბეთნოკონფესიონალურ ჯგუფებად (როგორებიცაა, მაგალითად, ვალდენსები — იტალიაში, სეტუ — ესტონელების შემადგენლობაში, დრუზები, ნუსაირიტები — არაბების შიგნით და ა. შ.), ან არაჩვეულებრივად ნათლად გამოკვეთა ამ რიგის ჯგუფების დამოუკიდებელ ეთნოსებად ჩამოყალიბების ტენდენცია (მაგ., იეზიდების მკვეთრი გამიჯვნა ქურთებისაგან; ერთ ენაზე მოლაპარაკე ჰოლანდიელების და ფლამანდელების დაყოფა ორ სხვადასხვა ხალხად; ბენგალელების დაყოფა აღმოსავლეთ ბენგალელებად — ე. წ. ბანგლადეშელებად და დასავლეთ ბენგალელებად და ა. შ.), აჭარელთა ეთნიკურ სეპარაციას და თუნდაც სუბეთნოკონფესიონალურ ჯგუფად ფორმირებას რელიგიური ნიშნის მიხედვით ჩვენში ნამდვილად არ ჰქონია ადგილი. პირიქით, ხანგრძლივი პოლიტიკური იზოლაციის შემდეგ საქართველოსთან შემოერთებული აჭარის მკვიდრი მოსახლეობის ხელახალი ბუნებრივი და უპრობლემო შერწყმა დანარჩენ ქართველობასთან სწორედ აჭარელთა შორის მყარად შენარჩუნებული ზოგადქართული ნაციონალური თვითშეგნების იშვიათმა სიმტკიცემ განაპირობა. სამაგიეროდ, ნათქვამთან დაკავშირებით ძალაუნებურად გვახსენებს თავს საქართველოს მძიმე წარსულის ერთი მწარე გაკვეთილი, როდესაც საყოველთაო განუკითხაობის და ბევრ შემთხვევაში ქვეყნის მესვეურთა დაუდევრობის, არასაკმარისი სიფხიზლის პირობებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მრავალი გრიგორიანული და კათოლიკური რწმენის ქართველი შეცდომით დაწერეს „სომეხად“ ან „ფრანგად“ სწორედ მათი კონფესიური სპეციფიკის ცალმხრივი გაგების საფუძველზე, რომ აღარაფერი ვთქვათ მრავალი მესხის და ინგილოს ძალდატანებითი გამაჰმადიანების და საბოლოო ანგარიშით შესაბამისად „თათრად“, „თურქად“, „ლეკად“ ან „აზერბაიჯანელად“ მათი გამოცხადების მეტად გულსაკლავ ფაქტზე. საბედნიეროდ ამ რიგის ეთნოტრანსფორმაციული პროცესები და სინამდვილის სავალალო დამახინჯებანი არ შეხებია აჭარის მოსახლეობას, რის კვალობაზე საქართველოს ამ მხარეში ზოგადქართული თვითშეგნების დეგრადაციის ნიშნების გულმოდგინე ძებნა აღნიშნული პროცესის ხელოვნური ინსპირაციის ტოლფასია.

ამდენად, ეთნოგრაფიულ-რელიგიური ნიშნების მიხედვით აჭარელთა განსხვავება საქართველოს დანარჩენი მხარეების მკვიდრთაგან მეტისმეტად უსუსური „არგუმენტია“ ქართველებისაგან მათი გამოცალკევების სასარგებლოდ. საერთოდ, ასეთნაირი გამიჯვნის უსაფუძვლობაზე საგანგებოდ ლაპარაკი ერთგვარად უხერხულიცაა, და, იმედია, მომავალში მაინც ქართველი ხალხის ნაციონალური კონსოლიდაციის საკვანძო საკითხების შესწავლით დაინტერესებული სწავლულნი უფრო მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან მკითხველთა ფართო მასებზე გათვალისწინებულ შეხედულებათა გამომზეურების საქმეს.

სხვათა შორის, ამ თვალსაზრისით ჩვენთვის საინტერესო კრებულშიც გვხვდება განსახილველად არჩეული საკითხებისადმი შედარებით უფრო ფრთხილი დამოკიდებულე-

ბის ერთი კონკრეტული მაგალითი, როდესაც ხსენებული პუბლიკაციის მე-3 თავში (ს. არუთიუნოვი, ენის როლი და ადგილი საზოგადოების ეთნოკულტურულ განვითარებაში) ვკითხულობთ: „ქართველი ეთნიკოსის თითქმის ყველა ეთნოფორი, ანუ საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ მცხოვრები ის პირნი, ვინც თავისი თვითშეგნებით ქართველია, ლაპარაკობს ქართული ენის სხვადასხვა დიალექტებსა და კილოკავებზე. ამას გარდა, მთელი რიგი სუბეთნიკური ჯგუფებისა, როგორებიცაა მეგრელები, სვანები, ყოფაში იყენებენ ქართულის... მონათესავე ენებს. ლინგვისტური თვალსაზრისით უდავოა, რომ ისინი თავისთავადი ენებია, რომელთაც შინაგანი დიალექტური დაყოფაც კი გააჩნიათ. **მაგრამ მათი მატარებლები (ე. ი. მეგრელები, სვანები, ვ. ი.) ქართველობენ და განცალკევებულ ეთნოსოციალურ ორგანიზმებს ეს ენები არ ემსახურებიან.** ასე, რომ ფუნქციონალური, ეთნოსოციალური თვალსაზრისით **მათი როლი ქართული ენის მთავარი დიალექტების როლს უთანაბრდება,** მით უმეტეს, რომ საქართველოს ფარგლებში მაინც აღნიშნული ენებით მოსარგებლეთაგან თითქმის ყველა ფლობს ლიტერატურულ ნორმატიულ ქართულ ენას“[6].

მართალია, მოცემულ შემთხვევაში რამდენადმე საკამათოა სვანებისა და მეგრელების მიჩნევა „სუბეთნიკურ ჯგუფებად“, ვინაიდან ხსენებულ ტერიტორიულ ჯგუფებში

---

6 Этнические процессы в современном мире..., с. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღესდღეობით ფაქტიურად წაშლილია სუბეთნიკური ჯგუ-ფისათვის უსათუოდ დამახასიათებელი გაორებული ეთნი-კური თვითშეგნება და თვითსახელწოდებებსაც — „სვანი“ და „მეგრელი“ მხოლოდ ქართველი ერისადმი მათი კუთხუ-რი კუთვნილების გამომხატველი სახელწოდებების შინაარსი გააჩნია (ხოლო მეგრული და სვანური ენები, როგორც ამას თავად ავტორი განმარტავს, ფუნქციონალური თვალსაზრი-სით ქართული ენის ძირითადი დიალექტების როლს ასრუ-ლებს), მაგრამ აღნიშნული ნომინაციის ოპტიმალურობის საკითხის საგულდაგულო გარჩევის გარეშეც (რაც მომავლი-სათვის შეიძლება გადაიდოს) ერთი რამ სავსებით ნათელია— დამოწმებული კვალიფიკაცია პრაქტიკულად აბათილებს დამოუკიდებელ ხალხებად (ეთნოსებად) სვანებისა და მეგ-რელების წარმოდგენის ზემოთ განხილულ ცდებს. ყოველ შემთხვევაში, ცნება „სუბეთნიკური ჯგუფი“ ამჯერად უკვე აღარ შეეფარდება ცნებას „ეთნოსი“, ვინაიდან, ელემენტა-რული ლოგიკის ძალით, სუბეთნიკური ჯგუფი საკუთრივ ეთ-ნოსის შემადგენელ კომპონენტად გაიაზრება (მაგ. დონის, ყუბანის და ურალის კაზაკები რუსი ხალხის შემადგენელ სუბეთნიკურ ჯგუფებად ითვლებიან და არა დამოუკიდებელ ეთნოსებად). მაშასადამე, ერთსა და იმავე კრებულში სახე-ზე გვაქვს ქართველი ხალხის შიდაეთნიკური სტრუქტურის საკითხისადმი ორი ურთიერთსაწინააღმდეგო მიდგომის ფაქ-ტი.

მაგრამ, სამართლიანობა მოითხოვს საგანგებოდ ით-ქვას, რომ ეთნიკური ნომენკლატურით სარგებლობის სფერო-ში არსებულ აზრთა ასეთ სხვადასხვაობას და ქართველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერის შემადგენელი ეთნოტერიტორიული ჯგუფების დამოუკიდებელ ხალხებად წარმოსახვის ცდებს ჩვენს მიერ განხილული კრებულის გამოქვეყნებამდეც უკვე არაერთგზის ჰქონდა ადგილი. ამდენად, გამოვლენილ უზუსტობათა ფართოდ შემოტანა სამეცნიერო მიმოქცევაში მაინცდამაინც ზემოთ ხსენებულ სწავლულთა „დამსახურებად" არ შეიძლება ჩაითვალოს. სხვათა შორის, მათი არამართებული შეხედულებები სწორედ ცალკეულ მკვლევართა მიერ უფრო ადრე გამოთქმულ იმ მცდარ მოსაზრებათა გაზიარებას და განზოგადებას წარმოადგენს, რომელთაგან სანიმუშოდ უპრიანია თუნდაც ერთ-ერთ სოლიდურ ნაშრომში მოცემული შემდეგი განმარტების დამოწმება: „... სომხები ქართველებს უწოდებენ ვრაცის... (ახალ სომხურად) და ვირკს (ძველ სომხურად), ირანელები—ვრკანს ან ვრჯანს (ძველ ირანულად) და გურჯს (ახალსპარსულად), არაბები — ჯურზს, სირიელები — გურზანს, თურქები — გურჯს, ანდიელები — გურჟოლს... რუსები გრუზინს... ქართველთა მეზობლებთან შემორჩენილი ყველა ეს სახელწოდება მომდინარეობს იმ სრულიად რეალური ისტორიული ხალხის უძველესი სახელწოდებიდან, რომელიც ცხოვრობდა ხ ა ლ ხ თ ა ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ჯ გ უ ფ ი ს („грузинская группа народов") განსახლების ტერიტორიაზე".[7]

როგორც ვხედავთ, მოტანილი სტრიქონების ავტორს ოფიციალური ეთნიკური ნომინაციის სფეროში მოულოდნელად შემოჰყავს ცნება „ხალხთა ქართველური ჯგუფი",

---

[7] Народы Кавказа, т. II, М., 1962, с. 213.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც თითქმის სრულ შინაარსობრივ იდენტურობას ამჟღავნებს ჩვენთვის მიუღებელ ცნებასთან „ქართველური ხალხები“. ცხადია, ეს გარემოება საფუძვლიან გაკვირვებას იწვევს, მით უმეტეს, რომ აღნიშნული დასკვნა ე. წ. „ხალხთა ქართველური ჯგუფის“ არსებობის შესახებ მთლიანად ს. ჯანაშიას იმ ნაშრომს ემყარება, სადაც გარკვევითაა ლაპარაკი ქართველურ ტომებზე და არა ხალხთა ქართველურ ჯგუფზე[8].

საყურადღებოა, რომ იმავე გამოცემის I ტომში სვანები, მეგრელები, ლაზები (ან ჭანები), აჭარლები და საქართველოს სხვა კუთხეების მცხოვრებნი, მართალია, ქართველი ხალხის შემადგენელ ეთნოგრაფიულ ჯგუფებად არიან გამოცხადებული[9], მაგრამ იქვე კავკასიის მკვიდრთა ანთროპოლოგიური დახასიათებისას ოსების მეზობლად დასახელებულნი არიან ყაბარდოელები, სვანები, ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიული ჯგუფები და ვაინახური შტოს ხალხები[10], რაშიც უკვე მკაფიოდ ირეკლება დამოუკიდებელი ხალხის დონეზე სვანების წარმოსახვისა და ქართველ მთიელთა ეთნოგრაფიულ ჯგუფთა სიიდან მათი მექანიკური ამორიცხვის ჩვენთვის ნაცნობი ტენდენცია. ასევე გაუმართლებელია იგივე კრებულის მეოთხე გვერდზე ერთმანეთის გვერდით „ოსეთის“, „დაღესტნის“ და „სვანეთის“ თანმიმდევრუ-

---

8 ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი , „შრომები“, III, თბ., 1959, გვ. 1—74.

9 Народы Кавказа, т. I, М., 1960, с. 27.

10 ი ქ ვ ე, გვ. 28.

ლად დასახელება, ვინაიდან სერიოზული გაუგებრობისგან თავის დაზღვევის მიზნით ერთ სიბრტყეზე, ერთმანეთთან შეპირისპირებაში უნდა განიხილებოდეს არა საქართველოს ერთ-ერთი კუთხე და საქართველოს მეზობელი ქვეყნები (კონკრეტულ შემთხვევაში ოსეთი და დაღესტანი), არამედ მთლიანად საქართველო და მისი მომიჯნავე მხარეები. წინააღმდეგ შემთხვევაში არაკომპეტენტურ მკითხველს შეიძლება შეექმნას შთაბეჭდილება, თითქოს სვანეთი არა საქართველოს განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს, არამედ ისეთსავე დამოუკიდებელ და არაქართული ეთნიკური ელემენტით დასახლებულ ქვეყანას, როგორებიცაა ოსეთი და დაღესტანი.

სამწუხაროდ, ანალოგიური ხასიათის ხარვეზებს მრავლად ვაფიქსირებთ სხვა პუბლიკაციებშიც, რომელთა ავტორებად გვევლინებიან არა მარტო ეთნოგრაფები, არამედ ენათმეცნიერები, ისტორიკოსები და არქეოლოგებიც. მაგალითად, ვ. აბაევის გამოკვლევაში სვ ა ნ ე ბ ი, აფხაზები და ოსები ხ ა ლ ხ ე ბ ა დ არიან სახელდებულნი[11], სხვა ნაშრომში კი ანალოგიურ ნომინაციას ექვემდებარებიან ს ვ ა ნ ე ბ ი, ოსები, ყაბარდოელები და აბაზელები[12]. კიდევ ერთ კოლექტიურ გამოკვლევაში დამოუკიდებელ ხალხებად არიან გამოყვანილნი ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი, აფხაზები, ს ვ ა ნ ე ბ ი, მ ე გ რ ე ლ ე ბ ი, ინგუშები და ჩაჩნები[13], შ. ინალ-იფას წიგნ-

---

[11] В. И. А б а е в, Осетинский язык и фольклор, I, М—Л., 1949, с. 117, 308.

[12] Х. О. Л а и п а н о в, К истории карачаевцев и балкарцев, Черкеск, 1957, с. 24.

[13] История Северо-Осетинской АССР, М., 1959, с. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში კი — სვანები, ოსები, აფხაზები და ადიღეელები[14], ხოლო 1960 წელს გამოცემულ კრებულში სვანები კვლავ დამოუკიდებელ ხალხად ფიგურირებენ ამჯერად უკვე ყაბარდოელების, ჩერქეზების და ოსების გვერდით[15]. თანაც აქვე ერთ სიბრტყეზე განიხილებიან, ერთი მხრივ, კავკასიის ხალხები (მაგ. ყაბარდოელები, ყარაჩაელები, ბალყარელები), მეორე მხრივ კი, ქართველი ხალხის შემადგენელი ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფები (მაგ. ფშავლები, ხევსურები, თუშები, რაჭველები)[16], რაც მორიგი მიუტევებელი შეცდომაა. ე. წ. „ქართველურ ხალხებზე" ლაპარაკია აგრეთვე 1963 წელს გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წიგნში: „...ხევსურები ეკუთვნიან ქართველური ხალხების („грузинские народы") ქართველურ ჯგუფს („картвельская группа") და უხსოვარი დროიდან ცხოვრობენ აქ"[17], ხოლო ე. კრუპნოვის კაპიტალურ ნაშრომში ვკითხულობთ: „მზის კულტი უხსოვარი დროიდან არსებობდა კავკასიის მრავალ ხალხში — ოსებში, სვანებში და სხვ... ცხენის მოკვდინებასთან დაკავშირებული დაკრძალვის წესი შემორჩენილი იყო როგორც ჩრდილო კავკასიის, ისე ამიერკავკა-

---

[14] Ш. Д. Инал-ипа, Абхазы, Сухуми, 1965, с. 607.

[15] О происхождении балкарцев и карачаевцев, Нальчик, 1960, с. 67, 273, 321.

[16] იქვე, გვ. 321—323.

[17] В. В. Агибалов, С рюкзаком по тропам Центрального Кавказа, Харьков, 1963, с. 48.

სიის მრავალ ხალხში — ოსებში, ჩეჩნებში, ინგუშებ-
რებში, აფხაზებში, მეგრელებში და სხვ.“[18].

როგორც ვხედავთ, ამჯერად ქართველებისაგან გამოცალკევებით „კავკასიის ხალხებად“ გამოცხადებული არიან არა მარტო სვანები და მეგრელები, არამედ ხევსურებიც(!). ამასთან, სამართლიან გაოცებას იწვევს ის გარემოება, რომ ავტორიტეტული მკვლევარის აღნიშნული მტკიცებები დაფუძნებულია პროფ. ვ. ბარდაველიძის ერთ-ერთ ცნობილ ნაშრომზე (Древнейщие религиозные верования и обрядовое граф ческое искусство грузинских племен, Тб., 1957), სადაც სრულიად გარკვევითაა ლაპარაკი ქართველ ტომებზე და ქართველი ხალხის შემადგენელ ცალკეულ ტერიტორიულ ჯგუფებზე (უპირატესად მთიელებზე) და არა კავკასიის (ან ამიერკავკასიის) ხალხებზე:სვანების, მეგრელების, ხევსურების და სხვ. სახით.

ასეთივე არასაპატიებელი წინააღმდეგობებითაა აღსავსე ავტორთა კოლექტივის მიერ გამოცემული კიდევ ერთი კრებულის ის ადგილი, სადაც ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე მეგრელები ისევ ცალკე ხალხად არიან წარმოდგენილნი ჩერქეზებისა და აფხაზების პარალელურად[19], ხოლო ერთ-ერთი ოსი მკვლევარის მონოგრაფიაში მითითებულია,

---

[18] Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, М., 1960, с. 361, 364.

[19] «Ученые записки», т. VIII, Маикоп, 1968, с. 375.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ „..შუა საუკუნეებში ალანების უშუალო მეზობლები ქართველების გარდა იყვნენ აგრეთვე ავარელები, ყუმუხები, სვანები და აფხაზები“[20]. ქართველებისაგან მეგრელების გამოყოფის და დამოუკიდებელ ხალხად მათი გააზრების „ტრადიციისადმი“ ერთგულებას ამჟღავნებს აგრეთვე ლ. ჩიბიროვიც, რომელიც თავის ნაშრომში თანმიმდევრულად ჩამოთვლის ქართველებს, აფხაზებს, მეგრელებს და ადიღელებს როგორც დამოუკიდებელ ხალხებს[21]. იგივე ითქმის ე. ალექსეევას მონოგრაფიის იმ მონაკვეთზეც, სადაც ჩრდილოკავკასიელ ხალხებს შორის იხსენიებიან ქართველი ეთნოსისაგან უსაფუძვლოდ მოწყვეტილი სვანები: „ყარაჩაულ-ბალყარულ ეპოსში, წარმართულ რწმენა-წარმოდგენებში შეინიშნება ჩრდილოკავკასიელი ხალხებისათვის საერთო მრავალი ელემენტი. ასე, ყარაჩაელებთან და ბალყარლებთან ვადასტურებთ ნართების ეპოსს, რომელიც წარმოდგენილია ოსებთან, ადიღებთან, აფხაზებთან, ჩაჩნებთან, ინგუშებთან, სვანებთან და სხვ.“[22].

ამ რიგის უზუსტობებისაგან არ აღმოჩნდა თავისუფალი მოსკოველი ეთნოგრაფის ნ. ვოლკოვას ნაშრომებიც, რომელთაგან ერთ-ერთში ვკითხულობთ: „ქართველი ერი ყალიბდებოდა ქართლელებისაგან, კახელებისაგან, ხევსურებისაგან,

---

20 Б. А. Калоев, Осетины, М., 1967, с. 23.

21 Л. Чибиров, Древнейшие пласты духовной культуры Осетии, Цхинвали, ред. А. Робакидзе, 1984, с 88.

22 Е. П. Алексеева, Древняя и средневековая история Карачаево-Черкессии, М., 1971, с. 164.

ფშავლებისაგან, მოხევეებისაგან, მთიულებისაგან, ინგილოებისაგან, აჭარლებისაგან, მეგრელებისაგან, ლაზებისაგან, სვანებისაგან... **ყველა ჩამოთვლილ ეთნიკურ ჯგუფს, მეგრელ-ლაზებისა და სვანების გამოკლებით, ჰქონდა ზოგადი თვითსახელწოდება „ქართველი“, ისინი** ლაპარაკობდნენ ერთიან ქართულ ენაზე. საერთო ლიტერატურული ენა ვრცელდებოდა ქართველი ხალხის ყველა ლოკალურ ჯგუფზე, მათ რიცხვში მეგრელ-ლაზებსა და სვანებზე... ერთიანი ნიშნებით ხასიათდებოდა ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ხ ა ლ ხ ე ბ ი ს კულტურა და ყოფა. მაგალითად, ერთსა და იმავე ქალის კოსტიუმს (ქართული კაბა) ატარებდნენ ქართლში, კახეთში, იმერეთში... რამდენადმე უფრო დიდი სხვაობანი (უმთავრესად ენაში) შეინიშნებოდა **ხალხთა აღწერილ ჯგუფსა და მეგრელ-ლაზებს, აგრეთვე სვანებს შორის...** მიუხედავად მეგრელების და სვანების... ენობრივი განსხვავებისა ქართველების დანარჩენი მასისაგან და ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ო რ ხ ა ლ ხ შ ი საკუთარი ეთნიკური თვითსახელწოდებების შემონახვისა, მათი (ე. ი. სვანების და მეგრელების, ვ. ი.) განვითარება **ყოველთვის მიმდინარეობდა ზოგად-ქართული ისტორიისა და კულტურის კალაპოტში და ხასიათდებოდა სხვა ქართველურ ხალხებთან ნაციონალური დაახლოების ნიშნებით“**[23].

როგორც ვხედავთ, წარმოდგენილი სტრიქონების ავტორი მკვეთრ საზღვარს ავლებს, ერთი მხრივ, ქართველებსა,

---

[23] Н. Г. Волкова, Этнические процессы в Закавказье в XIX—XX вв., «Кавказский этнографический сборник», IV, 1969, с. 21—22.

ხოლო მეორე მხრივ, სვანებსა და მეგრელ-ლაზებს შორის
და ეთნონიმ „ქართველის“ გავრცელების ისტორიულ-ეთნო-
გრაფიული არეალიდან მეგრელებით, ლაზებით და სვანებით
დასახლებული მხარეების მექანიკური გამორიცხვის ნაცადი
ხერხით კვლავ ნაჩქარევად გვთავაზობს დასკვნას ე. წ. „სვა-
ნი და მეგრელი ხალხების“ არსებობის შესახებ. ნ. ვოლკოვას
მტკიცების თანახმად ისეთი სურათი იხატება, თითქოს მეგ-
რელების და სვანების კუთხური კუთვნილების აღმნიშვნელი
თვითსახელწოდებანი მხოლოდ დამოუკიდებელი ხალხების
მისამართით გამოყენებული ტრადიციული ეთნონიმის ში-
ნაარსით იქნა დღემდე შემონახული, მაშინ როდესაც მეგ-
რელთა და სვანთა შეგნებაში არასდროს შეუღწევია სახელ-
წოდება „ქართველს“ თვითსახელწოდების მნიშვნელობით.
ამასთან, ხსენებული სწავლული მეგრელებს, ლაზებს და სვა-
ნებს ერთ შემთხვევაში ქართველი ერის შემადგენელ ეთნო-
გრაფიულ ჯგუფებად აცხადებს და იმავდროულად არ უარ-
ყოფს ქართული სალიტერატურო ენის მთელი საქართველოს
მასშტაბით გავრცელების უტყუარ ფაქტს, ხოლო მეორე
შემთხვევაში იგივე მეგრელებს და სვანებს უკვე ქართველე-
ბისაგან გამოცალკევებულ დამოუკიდებელ ხალხებად გვა-
ცნობს. რასაკვირველია, ამჯერად საქმე გვაქვს ერთად თავ-
მოყრილ სამ ურთიერთგამომრიცხველ მტკიცებასთან, რო-
მელთა შეჯერება ყველაზე დაკვირვებულ მკითხველსაც კი
ვერ მისცემს თუნდაც მინიმალურად ნათელ წარმოდგენას
ქართველი ხალხის, ვითარცა ერთიანი ეთნოსოციალური ორ-
განიზმის შინაგან ეთნიკურ სტრუქტურაზე.

კიდევ უფრო ნაკლებად უძლებს კრიტიკას ის ფარდაგად ბუნდოვანი თეზისიც, თითქოს მეგრელების და სვანების, როგორც ორი სხვადასხვა ხალხის განვითარება ყოველთვის მიმდინარეობდა ზოგად-ქართული ისტორიისა და კულტურის კალაპოტში და სხვა ქართველურ ხალხებთან მათი ნაციონალური დაახლოების ნიშნით (!).

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ დეტალს, რომ ამ „სხვა ქართველური ხალხების" ქვეშ მკვლევარი ამჯერად უკვე გულისხმობს საკუთრივ ქართლელებს, კახელებს, თუშებს, ხევსურებს, ფშავლებს, მოხევეებს, მთიულებს, ინგილოებს, გურულებს და აჭარლებს (!) და აქვე ჯეროვან ანგარიშს გავუწევთ ავტორის სავსებით მართებულ მინიშნებას ქართველი ხალხის შემადგენელ ეთნოტერიტორიულ ჯგუფებად მათი მიჩნევის საჭიროებაზე, ალბათ ადვილი წარმოსადგენია ის სერიოზული დაბნეულობა, რაც ამ დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო თვალსაზრისების სინქრონულ გაზიარებას შეიძლება მოჰყვეს. ვფიქრობთ, ამ სახის კვალიფიკაციების შეფასებისას რამდენადმე ვრცელი კომენტარიც კი ზედმეტია, ვინაიდან გამოვლენილი უზუსტობების შენიშვნა და უარყოფა არაკომპეტენტურ მკითხველსაც უეჭველად ხელეწიფება.

დაახლოებით იგივე ითქმის ნ. ვოლკოვას სხვა ნაშრომში მოცემული შემდეგი მტკიცებების შესახებაც:

„ქართველების (грузины) თვითსახელწოდება — ქართველი (картвели) კავკასიის ხალხთა შორის და წერილობით მოწმობებშიც შედარებით ნაკლებადაა ცნობილი. ის აისახა მხოლოდ აფხაზურ, მეგრულ და სვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნურ ენებში —აქირთუა (აფხაზ.), ქორთუ (მეგრ.), მგქართ (სვან.), — ანუ იმ ხალხთა ენებში, რომლებიც თავიანთი პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების პროცესში ყველაზე მჭიდროდ იყვნენ დაკავშირებულნი ქართველებთან"[24];

„...შეგახსენებთ აგრეთვე ყარაჩაელ-ბალყარელთა და სვანთა შორის არსებული მჭიდრო ეკონომიკური კავშირების, შერეული ქორწინებებისა და სხვა მომენტების შესახებ, რომლებიც აკავშირებდათ ამ ხალხებს"[25]; ან კიდევ:

„...ყაბარდოელთა შორის აქამდე გავრცელებულია ეთნიკური სახელი — სონე, რომელიც უფრო ხშირად სვანებს შეეფარდება, ცალკეულ შემთხვევებში კი კავკასიონის ქედის სამხრეთის მთელ მოსახლეობას — ქართველებს, სვანებს, მეგრელებს და სხვ."[26]; „...მეზობელ ხალხებს შორის ყარაჩაელები ცნობილი არიან მათი თვითსახელწოდებებით. ასეთებია აფხაზური აკარაჩ, ყაბარდოული ყარაშეი... ნოღაური ყარაშაი, ოსური ხოეროესეიაჩ, სვანური მუყრჩაი (მრ. რ. ყარაჩაი)"[27] და ა. შ.

საყურადღებოა, რომ ზუსტად ასეთივე არასახარბიელო სურათი იხატება ნ. ვოლკოვას კიდევ ერთ მონოგრაფიაში, რომლის სხვადასხვა ადგილას კვლავ ერთ სიბრტყეზე (და-

---

24 Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Северного Кавказа, М., 1973, с. 4.

25 იქვე, გვ. 92.

26 იქვე, გვ. 93.

27 იქვე, გვ. 97.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკიდებლად არსებული ხალხებისა და ქვეყნების დონეზე) განიხილებიან, ერთი მხრივ, ოსები და მეგრელები, აგრეთვე სვანები, ყარაჩაელები და ბალყარელები, ან კიდევ ოსები და სვანები, ხოლო მეორე მხრივ, სვანეთი, ჩერქეზეთი, ჩაჩნეთი და დაღესტანი[28]. ამავე დროს, ქართველებისაგან მეგრელებისა და სვანების გამოყოფისა და დამოუკიდებელ ხალხებად მათი მიჩნევის მიზანშეწონილობაში თითქოსდა ბოლომდე დარწმუნებული მკვლევრის გვიანდელ სტატიაში უკვე მკაფიო მინიშნებას ვპოულობთ ქართველი ერის შემადგენელ ეთნოგრაფიულ ჯგუფებად სწორედ სვანებისა და მეგრელების /გააზრების საჭიროებაზე[29], რაც თავისთავად მორიგ წინააღმდეგობაში ჩავარდნის ტოლფასია.

ასევე მეტი სიფრთხილე იყო საჭირო, როდესაც იგივე ავტორმა წოვა-თუშები ქართველებისაგან გამოცალკევებულ დამოუკიდებელ ხალხადაც გამოაცხადა[30] და ამავე დროს სხვა ნაშრომში ხაზგასმით აღნიშნა ეთნიკურ-კულტურულად და ენობრივად ქართველებთან წოვა-თუშების შერწყმის ფაქტის უდავობა[31].

---

[28] Н. Г. Волкова, Этнический состав населения Северного Кавказа в XVIII—начале XX века, М., 1974, с. 97, 99, 110, 111.

[29] Н. Г. Волкова, Этнические процессы в Грузинской ССР, сб. «Этнические и культурно-бытовые процессы на Кавказе», М., 1973, с. 20, 38, 39.

[30] Н. Г. Волкова, Этнонимы и племенные названия Кавказа, с. 161; მისივე, Этнический состав населения Северного Кавказа, с. 142.

[31] Н. Г. Волкова, Этнические процессы в Грузинской ССР..., с. 50.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვფიქრობთ, კონკრეტულ შემთხვევაშიც არაა ძნელი ამ ორ სხვადასხვა მოსაზრებას შორის არსებული ლოგიკური შეუსაბამობის დანახვა.

ნათქვამიდან გამომდინარე, ალბათ ერთგვარად ნიშანდობლივიცაა ის გარემოება, რომ ბაცბებად სახელდებული იგივე წოვა-თუშების მისამართით ტერმინ „ხალხის“ დაჟინებული გამოყენების ახალ ცდას კვლავ ნ. ვოლკოვას თანაავტორობით გამოცემულ მონოგრაფიაში ვადასტურებთ, სადაც წერია: „... ამას გარდა, რესპუბლიკაში ცხოვრობენ ხ ა ლ ხ ე ბ ი, რომლებიც არ შეადგენენ ერთიან ეთნიკურ მასივს. ესენია სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ბერძნები, ქართველი და ევროპელი ებრაელები, ქისტები, უდიები, ბ ა ც ბ ე ბ ი“[32].

საყურადღებოა, რომ ამავე ნაშრომში რელიეფური ასახვა ჰპოვა ქართველი ხალხის ეთნონიმიკის საკითხების ცალმხრივი გაშუქების ტენდენციამაც, რასაც მოწმობს შემდეგი მტკიცება: „... რესპუბლიკის მკვიდრი მოსახლეობა — ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი (3433 ათას.) (грузины) შეიცავენ რამდენიმე ეთნოგრაფიულ ჯგუფს, რომლებიც ასახავენ ამ ხალხის ისტორიული განვითარების თავისებურებებს. ზოგიერთი მათგანი ინარჩუნებს განსხვავებებს ენასა და კულტურაში, საკუთარ თვითსახელწოდებებს. ასეთებია ქ ა რ თ ვ ე ლ ი (კ ა რ თ ვ ე-

---

32 Н. Г. Волкова, Г. Н. Джавахишвили, Бытовая культура Грузии XIX—XX веков, М., 1982, с. 8.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი), მეგრელი (სამეგრელოს მოსახლეობა), შოზი (სვანეთის მცხოვრებნი). ქართველების შიგნით („внутри картвелов") არსებობს მრავალი ლოკალური ქვედანაყოფი — წინანდელი პოლიტიკური და შესაძლოა ძველი ტომობრივი დაყოფის ანარეკლი. ესენია კახეთის, ქართლის, მესხეთ-ჯავახეთის, იმერეთის, ლეჩხუმის, აჭარის, გურიის მოსახლენი, თუშეთის, ხევსურეთის, ფშავის, მთიულეთის, ხევის, რაჭის მთიელები"[33].

მართალია, ვითარების ასეთნაირი შეფასებისას სვანები და მეგრელები ქართველი ხალხის შემადგენელ ეთნოგრაფიულ ჯგუფებად არიან გამოყვანილნი და არა ე. წ. „ქართველურ ხალხებად", მაგრამ, სამაგიეროდ, ამჯერადაც, ეთნონიმი „ქართველი" (ტრადიციული თვითსახელწოდების შინაარსითა და თავისი გავრცელების ისტორიულ-ეთნოგრაფიული არეალით) რატომღაც მარტოდენ ქართველი ხალხის იმ ეთნოგრაფიული ჯგუფებისაგან „დაკომპლექტებულ" ეთნიკურ მასივთანაა შეფარდებული, რომელშიც არ იგულისხმებიან მეგრელები და სვანები. ეს გარემოება კი, ცხადია, კვლავ განაპირობებს მკითხველის დეზორიენტაციას ჩვენთვის საინტერესო საკითხებში.

საყურადღებოა, რომ ზოგიერთ სხვა ნაშრომში ასევე არაფერია ნათქვამი ე. წ. ქართველური ხალხების არსებობის შესახებ, მაგრამ ასეთი „შელავათის" ფონზე ავტორთა ნააზრევში მეტ-ნაკლები თვალსაჩინოებით მაინც გამოსჭვი-

---

33 იქვე, გვ. 7.

ვის ქართველი ერის ფორმირებაში სვანების, მეგრელ-ჭანების და ლაზების როლის ერთგვარი დაკნინებისა და ქართველების ნაციონალური კონსოლიდაციის ინტენსიურ პროცესებში მათი აქტიური მონაწილეობის შესახებ „დუმილის“ ტენდენცია. ამ მხრივ ნიშანდობლივია თუნდაც ვ. ი. კოზლოვის ის მოსაზრება, რომ: „... კავკასიური ოჯახი იყოფოდა სამ ჯგუფად: ქართველურად, ადიღურ-აფხაზურად და ნახურ-დაღესტნურად. ქართველურ ჯგუფში შედის ამ ოჯახის ყველაზე მრავალრიცხოვანი ხალხი — ქართველები, ჩამოყალიბებული დასავლეთ ამიერკავკასიაში მოსახლე რიგი ეთნოტერიტორიული ჯგუფებისაგან: ქართლელებისაგან, კახელებისაგან, ინგილოებისაგან, ხევსურებისაგან, ფშავლებისაგან, თუშებისაგან, იმერლებისაგან, გურულებისაგან, აჭარლებისაგან, მოხევეებისაგან, მთიულებისაგან, გუდამაყრელებისაგან, ჯავახებისაგან, რაჭველებისაგან და ლეჩხუმლებისაგან. XIX ს-ის მიწურულისათვის ქართველების ეროვნული კონსოლიდაცია ჯერ კიდევ ბოლომდე დასრულებული არ იყო, დასახელებულ ეთნოგრაფიულ ჯგუფთაგან ბევრი (ხევსურები, ინგილოები და სხვ.) ინარჩუნებდა დიალექტურ და კულტურულ-ყოფით თავისებურებებს, აგრეთვე უწინდელ თვითსახელწოდებებს. აშკარად გამოიყოფოდნენ აჭარლებიც, რომელთაც თურქების ძლიერი გავლენა განიცადეს, აგრეთვე სვანები, მეგრელები და ლაზები, რომლებიც ლაპარაკობდნენ ქართველურ ჯგუფში შემავალ და ქართულთან ახლოს მდგომ ცალკე ენებზე“[34].

---

[34] В. И. Козлов, Национальности СССР, Этнодемографический обзор, М., 1982, с. 29—30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ვხედავთ, კონკრეტულ შემთხვევაში ავტორს რატომღაც მხოლოდ მაშინ ახსენდება სვანების, მეგრელებისა და ლაზების საგანგებოდ დასახელება, როდესაც იგი ამ ჯგუფების ეთნოგრაფიული თავისთავადობისა და დანარჩენი ქართველებისაგან მათი შესამჩნევი განსხვავების ფაქტის კონსტატაციისადმი ამჟღავნებს ინტერესს.

მაგრამ ვ. კოზლოვისაგან განსხვავებით ვ. ბრომლეისა და გ. მარკოვის რედაქციით 1982 წელსავე გამოცემულ სახელმძღვანელოში (უმაღლესი სასწავლებლების ისტორიის სპეციალობის სტუდენტებისათვის) კვლავინდებურად უპირატესობა ენიჭება „ქართველურ ხალხებად“ სვანების, მეგრელებისა და ლაზების პირდაპირი წარმოჩენის პრაქტიკას:

„ყველაზე დიდი კავკასიურენოვანი ხალხი — ქართველები — ჩამოყალიბებულ იქნა მის მიერ ამჟამად დაკავებულ ტერიტორიაზე უძველესი ადგილობრივი ტომებისაგან. ქართველთა შემადგენლობაში შევიდა აგრეთვე ხალდების (ურარტელების) ერთი ნაწილი. ქართველები იყოფოდნენ დასავლეთელებად და აღმოსავლეთელებად. ქ ა რ თ ვ ე ლ უ რ ი ხ ა ლ ხ ე ბ ი ს რიცხვს ეკუთვნიან ს ვ ა ნ ე ბ ი, მ ე გ რ ე ლ ე ბ ი და ლ ა ზ ე ბ ი ან ჭ ა ნ ე ბ ი“[35].

ამავე დროს ხსენებული ნაშრომის სხვა ადგილას იგივე სვანები უკვე ქართველი ხალხის შემადგენელ ეთნოტერიტორიულ ჯგუფად (და არა ხალხად) არიან მიჩნეულნი[36], რა-

---

[35] Этнография, под ред. Ю. В. Бромлея и Г. Е. Маркова, М., 1982, с. 259.

[36] იქვე, გვ. 260.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შიც ისევ და ისევ ჩვენს მიერ არაერთგზის შენიშნული ლოგიკური წინააღმდეგობა ამოიცნობა.

საერთოდ, ამ რიგის ხარვეზები ერთობ დამახასიათებელია არაერთი სხვა ეთნოგრაფის ნააზრევისათვისაც, რასაც თვალნათლივ მოწმობს ერთ-ერთი ავტორის გამოკვლევებში ქართველი ხალხის შემადგენელი უკლებლივ ყველა ეთნოტერიტორიული ჯგუფის (მათ შორის სვანების, მეგრელების და ლაზების) აღსანიშნავად ხან ტერმინ „ეთნოგრაფიული ჯგუფის“ (ან „ეთნოტერიტორიული ჯგუფის“), ხან კიდევ სახელწოდება „ხალხის“ გამოყენება, ხოლო სულ ბოლო დროს ამჯერად უკვე ტერმინ „სუბეთნიკური ჯგუფის“ ხმარებაში დანერგვის ცდა: „ქართული ენა... საქართველოს სსრ-ის ტერიტორიაზე წარმოდგენილია 17 დიალექტით, რომელნიც შეესაბამება ქართველების სუბეთნიკურ ჯგუფებს: დასავლეთ საქართველოში — აჭარლები, გურულები, იმერლები, ლეჩხუმლები, რაჭველები; აღმოსავლეთ საქართველოში — ქართლელები, კახელები, მოხევეები, მთიულები, ფშავლები, თუშები, ხევსურები; სამხრეთ საქართველოში — ჯავახები, მესხები; საქართველოს სსრ-ის ფარგლებს გარეთ — ინგილოები... ირანში — ფერეიდნელები, იმერხევლები (თურქეთში)... ენათა ქართველურ ოჯახში შედის აგრეთვე მეგრული და სვანური (ქართველების სუბეთნიკური ჯგუფები მეგრელები და სვანები განსახლებული

ეროვნული ბიბლიოთეკა

არიან დას. საქართველოში), ლაზური (ლაზები ძირითადად თურქეთში ცხოვრობენ) ენები"[37].

როგორც ვხედავთ, მოცემულ შემთხვევაში ნ. ვოლკოვა სვანებს და მეგრელებს, აგრეთვე ქართველი ხალხის ყველა დანარჩენ ტერიტორიულ ჯგუფებს „სუბეთნიკურ ჯგუფად" აცხადებს, მაშინ, როდესაც თავის ადრინდელ ნაშრომებში იმავე ავტორს ოდნავადაც არ ეპარებოდა ეჭვი ხსენებული ჯგუფების დამოუკიდებელ ხალხებად ან, საუკეთესო შემთხვევაში, ეთნოტერიტორიულ ჯგუფებად წარმოდგენის მიზანშეწონილობაში.

ცხადია, მკვლევრის პოზიციის ასეთ მკვეთრ შეცვლას თავისი პლუსი გააჩნია და ის საკვლევი საკითხების შედარებით უფრო ღრმად შესწავლის მანიშნებელია. მაგრამ ამგვარი დადებითი მეტამორფოზის მიუხედავად ჩვენთვის მაინც ვერაფერი შეღავათია ცნება „სუბეთნიკური ჯგუფის" ოფიციალურ ხმარებაში შემოტანა ქართველი ხალხის უკლებლივ ყველა დანაყოფის აღსანიშნავ ტერმინად მანამდე გამოყენებული „ეთნოგრაფიული ჯგუფის" (ან „ეთნოტერიტორიული ჯგუფის") ნაცვლად, ვინაიდან ასეთ ახლებურ ნომინაციაში აშკარად ნაჩქარევად ჩანს ასახული საბჭოთა ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში (ძირითადად კი ი. ბრომლეის გამოკვლევებში) დაწინაურებული თვალსაზრისი ცნებების „ეთნოგრაფიული ჯგუფის" და „სუბეთნიკური ჯგუფის" ურთიერთგამიჯვნის (// ერთი ეთნოსის ფარგლებში არ-

---

[37] Н. Г. Волкова, Грузины, «Народы мира», историко-этнографический справочник, главный ред. Ю. В. Бромлей, М., 1988, с. 140—141.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სებული ორი სხვადასხვა ტიპის ეთნიკური დანაყოფის (ან სანიშნავად მათი გამოყენების) საჭიროებაზე.

ამ შეხედულების თანახმად ნებისმიერი ეთნოსის შემადგენელი ლოკალური ჯგუფები, რამდენადმე გამორჩეულნი სალაპარაკო ენის, კულტურისა და ყოფის თავისებურებებით (თავისებური დიალექტი თუ კილო, მატერიალური და სულიერი კულტურის სპეციფიკა, კონფესიური განსხვავებულობა და სხვ.), რომელთაც გააჩნიათ თვითსახელწოდება და რაღაც განსაკუთრებული „ორობითი (ან ორმაგი) თვითშეგნება“ („двойственное самосознание“) უპრიანია სახელდებულ იქნენ „სუბეთნოსებად“ ან „სუბეთნიკურ ჯგუფებად“, მაშინ, როდესაც სპეციალურ ლიტერატურაში ადრე სისტემატურად გამოყენებული სახელწოდება „ეთნოგრაფიული ჯგუფი“ მიზანშეწონილია გამოყენებულ იქნეს მარტოოდენ ეთნოსების იმ შინაგანი დანაყოფების აღსანიშნავად, რომელთაც არ გააჩნიათ რამდენადმე „მკაფიო თვითშეგნება“ („чёткое самосознание“). ასეთი მიდგომის წყალობით კი, მაგალითად, პომორები და კაზაკები, რომელთაც გააჩნიათ აშკარად გამოკვეთილი ორობითი (ან ორმაგი) თვითშეგნება, რუსი ხალხის სუბეთნიკურ ჯგუფებად იმსახურებენ გააზრებას, ხოლო ჩრდილოეთელი და სამხრეთელი რუსები მის ეთნოგრაფიულ ჯგუფებად უნდა იქნენ დახასიათებულნი[38].

---

[38] Ю. В. Бромлей, Современные проблемы этнографии, М., 1981, с. 48—51; მისივე, Очерки теории этноса, М., 1983, с. 83—85. მისივე (ვ. კოზლოვთან თანაავტორობით), Этносы и этнические процессы

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასაკვირველია, ეთნიკური ნომინაციის ეს ასოციაციური პრინციპი თავისთავად მეტად საინტერესოა და ერთი ძეხვედვით ძალზე მომგებიანადაც გამოიყურება, მაგრამ ამ ჯერ კიდევ დაუხვეწავი და არასაკმარისად აპრობირებული სქემის მექანიკური შეფარდება საქართველოს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სინამდვილესთან და მის ჩარჩოებში ქართველი ხალხის შინაგანი დანაყოფების სახელდება მაინცდამაინც სუბეთნიკურ ჯგუფებად ჩვენ გაუმართლებლად მიგვაჩნია.

ასეთი კატეგორიული მტკიცების გამბედაობა კი გვყოფნის იმდენად, რამდენადაც ე. წ. „სუბეთნიკური ჯგუფის“ მაპროფილებელი ძირითადი ნიშნის — ე. წ. „თ ვ ი თ შ ე გ ნ ე ბ ი ს“ გადამწყვეტი მნიშვნელობის საგანგებოდ ხაზგასმისას მეტისმეტად ზედაპირულადაა გაშუქებული (ან უფრო სწორედ, თითქმის უყურადღებოდაა დატოვებული) ის საკითხი, თუ კონკრეტულად მაინც რა იგულისხმება ამ „თვითშეგნებაში“ — ჩვეულებრივი კუთხური თ ვ ი თ შ ე გ ნ ე ბ ა (— ორგანულად დაკავშირებული ნებისმიერ რაიონში დისლოცირებული ეთნოფორების მიერ საკუთარი კუთხური კუთვნილების და სადაურობის მტკიცედ შეგნების ტრადიციასთან, ანუ ე. წ. „კუთხურობის“ სტერეოტიპთან), თუ ამ უკანასკნელის თვისობრივად ახალი დონე — მკაფიოდ გამოკვეთილი ე თ ნ ი კ უ რ ი ხ ა ს ი ა თ ი ს თ ვ ი თ შ ე გ ნ ე ბ ა, რომელიც ვიწრო კუთხური და ზოგადეროვნული თვითშეგნების ჰარმონიული (და არაანტაგონისტური) თანაარსებობის პრინციპის დარღვევის უშუალო რეზულტატის სახით

как предмет исследования, сб., «Этнические процессы в современном мире»..., с. 11.

მეტ-ნაკლებად უპირისპირდება (— ერთგვარად „ეპაექრება“ კიდეც) ზოგადეროვნულ თვითშეგნებას და უკვე ეთნოგენეზის სეპარაციის სტიმულირების კალაპოტშია ჩაყენებული. სხვა სიტყვით რომ ვთქვათ, ფაქტიურად ღიადაა დატოვებული ე. წ. „კუთხური თვითშეგნების“ ფორმირების მექანიზმის და, რაც მთავარია, ბაზისურ კატეგორიასთან — ზოგადნაციონალურ თვითშეგნებასთან მისი მიმართების საკითხი, ანუ ის საგულისხმო ასპექტი, თუ მაინც რასთან შეპირისპირებაში შეიძლება გვევლინებოდეს აღნიშნული „თვითშეგნება“ რამდენადმე „მკაფიოდ“ — კუთხური თვითშეგნების პარალელურად არსებული ზოგადნაციონალური თვითშეგნების, თუ ნებისმიერი შიდაეთნიკური დანაყოფისათვის ერთნაირად დამახასიათებელი კუთხური (რეგიონალური) თვითშეგნების სხვადასხვა ლოკალური ვარიანტების საერთო ფონზე. არადა, მხოლოდ ასეთი დიფერენცირებული მიდგომის წყალობით ხერხდება იმის დადგენა, თუ მაინც რა ვითარებაში იძენს ამა თუ იმ ეთნოსის შინაგანი ტერიტორიული დანაყოფისათვის უსათუოდ დამახასიათებელი „ოროობითი (ორმაგი) თვითშეგნება“ (ვითარცა სრულიად კანონზომიერი და ნორმალური მოვლენა) რაღაც არაორდინალური ფაქტორის (კერძოდ კი მიკროეთნიკური ერთეულების რაიმე ახალი ტაქსონომიური დონის უმთავრესი მაჩვენებლის) მნიშვნელობას, რის კვალობაზე ნამდვილად აღარც ჭირს ერთსა და იმავე ეთნოსის ფარგლებში „ეთნოგრაფიული ჯგუფისა“ და „სუბეთნიკური ჯგუფის“ ობიექტური ურთიერთგამიჯვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვათა შორის, ე. წ. „ორობითი (ან ორმაგი) თვითშეგნების“ ფენომენის გათვალისწინების საჭიროება ჩვენთვის საინტერესო საკითხთან დაკავშირებით გვაიძულებს საგანგებოდ განვმარტოთ, რომ თუკი კაზაკი და პომორი უწინარეს ყოვლისა თავის კაზაკობას და პომორობას უსვამს ხაზს და ამდენად ხსენებული ჯგუფების „ორობითი (ან ორმაგი) თვითშეგნების“ კომპლექსში უკვე აშკარად პრიორიტეტულია პირველ რიგში კაზაკად ან პომორად (და არა რუსად) საკუთარი თავის გამოცხადების პრაქტიკა, რაც ნამდვილად იძლევა რუსი ხალხის შემადგენელ სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფებისაგან რამდენადმე განსხვავებულ ახალ ტაქსონომიური რანგის ეთნიკურ წარმონაქმნად (// „სუბეთნოსად“) მათი დახასიათების უფლებას, ქართველი ხალხის შინაგანი დანაყოფების (მაგ. ფშავლების, მოხევეების, იმერლების და სხვ.) „ორობითი (ან ორმაგი) თვითშეგნების“ სფეროში კუთხური თვითშეგნებისა და ზოგადეროვნული თვითშეგნების თანაშეფარდებაში არსებული ბალანსი ოდნავადაც არაა დარღვეული მეორის საზიანოდ. ამ შემთხვევაში კუთხური თვითშეგნება აშკარად უკანა პლანზე დგას და ის სულაც არ ამჟღავნებს ზოგადნაციონალურ თვითშეგნებასთან რამდენადმე სერიოზული „კონკურენციის“ ტენდენციას.

ამდენად, „ეთნოგრაფიული ჯგუფისა“ და „სუბეთნიკური ჯგუფის“ განმასხვავებელ ძირითად ნიშნად აღებული „თვითშეგნება“, „მკაფიო თვითშეგნება“ ან „ორობითი თვითშეგნება“ რაღაც ბუნდოვან და ერთობ დაუკონკრეტებელ ცნებებად რომ არ იქცეს, სრულიად აუცილებელია არსებითი სხვაობის დანახვა ერთი მხრივ ორიარუსიან (აშკარად გამო-

კვეთილი იერარქიული ხასიათის) ეთნიკურ თვითშეგნებასა, ხოლო მეორე მხრივ ზოგადეროვნული თვითშეგნების ტაციის პირობებში შემუშავებულ კუთხურ თვითშეგნებას შორის, რის შესაბამისადაც ძნელი არაა არსებითი სხვაობის დანახვა ეთნოსის შინაგან დანაყოფებად გააზრებულ „სუბ-ეთნიკურ ჯგუფსა“ და „ეთნოგრაფიულ ჯგუფს“ (ან „ეთნო-ტერიტორიულ ჯგუფს“) შორის.

ყოველივე წინათქმული კი გვაძლევს უფლებას დავას-კვნათ, რომ თუკი ეთნოტერიტორიულ ჯგუფად წარსულში სახელდებული ზოგიერთი შიდაეთნიკური დანაყოფის (მაგ., იმავე კაზაკებისა და პომორების) სუბეთნიკურ ჯგუფებად გამოცხადება სავსებით მიზანშეწონილია, ანალოგიური ნო-ძინაციის გამოყენება ქართველი ხალხის შემადგენელი ეთ-ნოტერიტორიული ჯგუფების მისამართით ნამდვილად არ ივარგებს, მით უმეტეს, რომ თავად „ეთნოგრაფიული ჯგუ-ფისა“ და „სუბეთნიკური ჯგუფის“ ურთიერთგამიჯვნის კრი-ტერიუმიც სპეციალურ ლიტერატურაში ჯერ კიდევ ბოლომ-დე დაზუსტებული არაა; — აკი ბოლო დროს გამოცემულ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ცნობარში აღნიშნული ჯგუფე-ბის განმასხვავებელ უმთავრეს საზომად მიჩნეულია არა კონკრეტული ეთნოსის შინაგანი დანაყოფისათვის დამახა-სიათებელი „მკაფიო თვითშეგნება“ (ან „ორობითი თვით-შეგნება“), არამედ უბრალოდ „საკუთარი თვითშეგნება“[39], რაც ასევე არასაკმარისად დაკონკრეტებული ცნების შთა-ბეჭდილებას ტოვებს.

---

39 Народы мира, историко-этнографический справочник.., с. 7.

ცხადია, სხვადასხვა ტაქსონომიური დონის მიკროეთ-
ნიკური ერთეულების სახელდების სფეროში არსებულ სახ-
რთა ასეთი სხვადასხვაობისა და ჩვენს მიერ ზემოთ განხი-
ლულ უზუსტობათა თვალშისაცემი სიმრავლის საერთო
ფონზე გაკვირვებას აღარც შეიძლება იწვევდეს ისტორიკო-
სის და ეთნოგრაფის ერუდიციას მოკლებული ზოგიერთი
საბჭოთა თუ უცხოელი ჟურნალისტის, აგრეთვე ქართველი
ხალხის ეროვნული მთლიანობის ხელყოფაში აშკარად და-
ინტერესებულ სხვადასხვა სწავლულთა თუ მწერალთა მიერ
ჩვენი ხალხის ცალკეული დანაყოფების, უწინარეს ყოვლი-
სა კი სვანებისა და მეგრელების ქართველობის ეჭვქვეშ
დაყენება და დამოუკიდებელ ხალხებად მათი გააზრება.
დღესდღეობით ხომ უკვე სისტემატურად გვიხდება სამე-
ცნიერო-პოპულარულ ლიტერატურაში თუ ჟურნალ-გაზე-
თებში შემდეგი სახის დეზინფორმაციის ფიქსაცია: „სვანე-
თის ნამდვილ „ოქროს საწმისს“ მისი ვაჟკაცური ადამიანები
წარმოადგენენ... ჩვენ მოვინახულეთ სვანური გათხრები,
რომლებიც ამტკიცებენ, თუ რაოდენ ძველთაძველია ეს
ხ ა ლ ხ ი“[40] ან კიდევ: „... პოლიტბიუროს ვერც ერთი წევ-
რი ვერ ბედავდა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა საქმეებში
ჩაწვდომას. მარტოოდენ სტალინი და ბერია წყვეტდნენ
ქ ა რ თ ვ ე ლ ებ ი ს ა და ს ო მ ხ ებ ი ს, ა ჭ ა რ ლ ებ ი ს ა
და მ ე გ რ ე ლ ებ ი ს, დაღესტნელებისა და ს ვ ა ნ ებ ი ს

---

[40] Е. Чекалова, В Колхиду за «золотым руном», «Советская культура», 2 августа, 1984 г., № 92, с. 8.

ბედს"[41]. ან რად ღირს თუნდაც, ცნობილი რუსი მწერალის ფ. ისკანდერის დებიუტის გახსენება სატელევიზიო გადაცემა „Взгляд"-ში, სადაც გამოცდილმა ორატორმა მაინცდამაინც აფხაზი ხალხის წინაშე ლ. ბერიას უსაზღვრო დანაშაულის გაბედული მხილებისას მოხერხებულად ისარგებლა ამ დაუვიწყარი პიროვნების „მეგრელობის" ფაქტის საჯარო გამომზეურების შესაძლებლობით. ალბათ შემთხვევითი არაა ის ფაქტიც, რომ გაზეთ „პრავდაში" დაბეჭდილი ერთ-ერთი წერილის ავტორის მორიგი უხეში შეცდომა კვლავ ფ. ისკანდერის მცდარი მტკიცების მექანიკური გაზიარებით იქნა განპირობებული: „ძნელია შემთხვევითობად ჩაითვალოს ის გარემოება, რომ „ციხე-სახლებს" რითაც ასე ცნობილია ევროპაში ბასკური არქიტექტურა, თავისი ახლო ანალოგიები მოეძებნება ოსეთში, დაღესტანში, სვანეთში... მახსენდება ფ. ისკანდერის ცნობილი ნაწარმოები, სადაც მისი ერთ-ერთი გმირი — მოხუცი სვანი — მოგზაურის შეკითხვაზე, თუ რატომაა სვანებთან ესოდენ მტკიცე ტრადიციები და რაში წაადგება ისინი მცირე ხალხს, პასუხობს, რომ ტრადიციები მცირე ხალხს უფრო მეტად სჭირდება, ვიდრე დიდს, ვინაიდან მხოლოდ მათი წყალობით შეუძლია მას (ე. ი. მცირე ხალხს, ვ. ი.) თავის შენარჩუნება"[42].

---

41 А. Антонов-Овсеенко, Карьера палача, журн. «Звезда», 1988, № 9, с. 4.

42 А. Ландабасо, Горы, море и традиции в стране басков, «Правда», 23 апреля, 1989 г. № 113, с. 4.

როგორც ვხედავთ, ამჯერად ფ. ისკანდერი ვითარცა „მცირე ხალხის“ ნაციონალური ინტერესების აქტიური დამცველის „საპატიო როლშიც“ ფიგურირებს, რის კვალობაზე დამოწმებული სტრიქონების ავტორი უყოყმანოდ სარგებლობს ისეთი ყალბი სურათის დახატვის შესაძლებლობით, თითქოს სვანები, როგორც კავკასიის „მცირე ხალხი“, მართლაც, იდგეს „გადაშენების“ ან რომელიღაც „დიდ ხალხში“ გათქვეფის რეალური საფრთხის წინაშე. არადა, ესოდენ უნიჭოდ შენიღბული მსჯელობის მიღმა ძნელი არაა წარმოდგენილი ნააზევის ძირითადი და საბოლოო მიზნის ამოცნობა — სვანების შეგნებული მოწყვეტა დანარჩენი ქართველებისაგან და დამოუკიდებელ ხალხად გამოცხადებული სვანების წარმოჩენა ქართული ასიმილატორული პოლიტიკის მომავალ მსხვერპლად.

ვფიქრობთ, არანაკლებ ნიშანდობლივია გაზეთ „სოვეტსკაია კულტურაში“ ისტორიკოს ე. ზეიმალის მეტისმეტად სუსტი და ამასთანავე უაღრესად პრეტენზიული სტატიის გამოქვეყნებაც, სადაც უცნაურად გაკაპასებული ავტორი ფაქტიურად დაუფარავად ილაშქრებს ქართველებად სვანებისა და მეგრელების გამოცხადების მისთვის ერთობ არასახარბიელო და თითქოსდა საბჭოთა სინამდვილესთან შეუთავსებელი პრაქტიკის წინააღმდეგ[43]. სამაგიეროდ, მოსახლეობის საერთო-საკავშირო აღწერის სამართლიანად და შეძლებისამებრ ზუსტად ჩატარებით დაინტერესებული სხვა

---

[43] Е. Зеимал. О чем говорят цифры, «Советская культура», 9 июля, 1988 г.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორი გაცილებით უფრო „კორექტულად“ ცდილობს ეკვ-
კასიასა და საქართველოში მიმდინარე „არასახარბიელო“
ეთნიკური პროცესების გაშუქებას, როცა შემდეგნაირად
აყენებს საკითხს: „... სწორი იქნებოდა ორმაგი და
სამმაგი კუთვნილების (იგულისხმება ეთნიკური
კუთვნილება, ვ. ი.) („двоиная или троиная принадлеж-
ность“) ფიქსირება. ადამიანს უფლება აქვს, რომ საკუ-
თარ თავს ერთდროულად უწოდებდეს ქარ-
თველს და სვანს, ადიღეს და შაფსუღს. მოყვანილ
იქნა ინდოეთის მაგალითი, სადაც აღწერის დროს ფიგური-
რებდა 1600 სახელწოდება. მართლაც, რატომ არ შეიძლებო-
და, რომ ჩვენც აგვერჩია ყოვლისმომცველი აღრი-
ცხვის („всеохватный учет“) პრინციპი?“[44].

მართალია, ამ რიგის „თეორეტიკოსებს“ და სინამდვი-
ლის ფალსიფიკაციაში ჯეროვნად გაწაფულ ავტორებს ჯერ-
ჯერობით ოფიციალური პუბლიკაციის დონეზე არ გამო-
უთქვამთ ასეთივე კატეგორიული აზრები, მაგალითად,
აჭარლების „ეთნიკური ვინაობის“ თაობაზე, მაგრამ არაა
გამორიცხული, რომ სულ მალე ეს „საკითხიც“ იქცეს პრი-
ნციპული განსჯის საგნად, მით უმეტეს, თუ ჩვენი პოტენ-
ციური ოპონენტები ყურადღებით გაეცნობიან და სრულ
ნდობას გამოუცხადებენ სპეციალურ ლიტერატურაში ასახულ
შემდეგ შეხედულებებს: „... აჭარლები, რომლებიც 1926

---

44 Н. Мишина, С точностью до человека, «Правда», 6 декабря, 1988 г. № 341, с. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წლის აღწერით გამოყოფილ იქნენ როგორც **ქართველების განსაკუთრებული ეთნიკური ჯგუფი, ამჟამად შეერწყნენ მათ** (ე. ი. ქართველებს! ვ. ი.). **აჭარის ასსრ-ის ეროვნული შემადგენლობა სულ უფრო ერთგვაროვანი ხდება,** მკვიდრი ეროვნების (ქართველების) ხვედრითი წილი მასში 1979 წლისათვის 80%-მდე გაიზარდა"[45], ან კიდევ: „... **ქართველების ეთნოგრაფიულ ჯგუფად ამჟამად მიჩნეულ იქნენ აჭარლებიც,** რომლებიც უმთავრესად რელიგიით განსხვავდებიან ქართველებისაგან"[46].

როგორც მოცემულ კვალიფიკაციებზე დაკვირვება გვარწმუნებს, მათი ავტორები ყოველმხრივ ცდილობენ ქართველებისაგან აჭარლების გამოცალკევებას და აჭარელთა წარმოჩენას არა ქართველი ხალხის განუყოფელ ეთნოგრაფიულ ჯგუფად, არამედ რაღაც განსაკუთრებულ „ეთნიკურ ჯგუფად", რომელიც დროთა განმავლობაში შეერწყა ქართველებს. თანაც, ძნელი არაა იმის შენიშვნა, რომ აჭარლებისა და ქართველების ურთიერთგამიჯვნის მიზნით ამჯერად განსაკუთრებული აქცენტი კეთდება აჭარლების ქართველებთან და არა აჭარლების დანარჩენ ქართველებთან შერწყმის, აგრეთვე აჭარლების ქართველებისაგან და არა დანარჩენი ქართველებისაგან განსხვავებულობის ფაქტზე, რაც სრულიად გაუმართლებელია. ამასთან, თავი რომ დავანებოთ იმ საკითხის სპეციალურად გარჩევას, თუ მაინც რა იგულისხმება ამ „შერწყმაში", ნამდვილად გაოცებას იწვევს ის ყოვლად პა-

---

45 В. И. Козлов, Национальности СССР..., с. 131—132.

46 Народонаселение стран мира, справочник, под ред. Б. Ц. Урланиса, М., 1978, с. 381.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რადოქსული თეზისიც, რომ „აჭარის ნაციონალური შემადგენლობა სულ უფრო ერთგვაროვანი ხდება“. ამგვარი უსაფუძვლო განცხადებით ხომ ძალაუნებურად იმდაგვარი სურათი იხატება, თითქოს აღნიშნული „ერთგვაროვნება“ ავტონომიურ რესპუბლიკაში მიღწეულ იქნა მხოლოდ ქართველებთან აჭარლების შერწყმის (ანუ ინტენსიური ეთნოტრანსფორმაციული პროცესების პრივალირების) შედეგად, მანამდე კი აჭარის მოსახლეობა პოლიეთნიკურობით გამოირჩეოდა (!). ვფიქრობთ, აქ იმდენად თვალშისაცემ გაუგებრობასთან გვაქვს საქმე, რომ მისი საგანგებო კომენტირების საჭიროება არც ჩანს.

დაბოლოს, არანაკლებ ოდიოზურად ჟღერს ის აზრიც, თითქოს აჭარლების ქართველებთან შერწყმა მაინცდამაინც ბოლოდროინდელ მოვლენას წარმოადგენს და აჭარლები მხოლოდ ჩვენს ეპოქაში იქნენ მიჩნეულნი ქართველების შემადგენელ ეთნოგრაფიულ ჯგუფად, რასთან დაკავშირებითაც ბუნებრივად გვებადება კონტრკითხვა — საინტერესოა, მაინც ვის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს ის, რომ დღესდღეობით უკვე უყოყმანოდ გვიხდება ქართველი ხალხისადმი აჭარელთა რეალური კუთვნილების იმთავითვე უტყუარი ფაქტის უდავობის ოფიციალური კონსტატაცია? იქნებ ასეთ ღირსშესანიშნავ მეტამორფოზას იმ სწავლულთ უნდა ვუმადლოდეთ, რომელთაც თავის დროზე სწორედ ისტორიულ-ეთნოგრაფიული სინამდვილის იგნორირების წყალობით შეასრულეს კიდეც გადამწყვეტი როლი ქართველებისაგან აჭარელთა ხელოვნურ გამოცალკევებაში? თუმცა, სანამ ჩვენ

ასეთ სავალალო გაუგებრობათა ორომტრიალში სულ-ისხეს და ერთობ კურიოზულ დებულებათა გადასინჯვასთან დაკავშირებულ კითხვებზე დამაკმაყოფილებელ პასუხს ვეძებთ, სხვადასხვა პუბლიკაციებში უკვე მოასწრო გაჟონვა შემდეგი სახის ინფორმაციამ: საქართველოს სსრ-ის „..მოსახლეობის დაახლოებით 70 პროცენტს შეადგენენ ქართველები, შემდეგ მოდიან სომხები, რუსები, აზერბაიჯანელები, ოსები, ბერძნები, აფხაზები, აჭარლები, უკრაინელები, ებრაელები და მრავალი სხვა ეროვნების წარმომადგენლები“[47]. უფრო ადრე გამოცემულ და დღემდე უკომენტაროდ დატოვებულ ერთ-ერთ ტოპონიმიკურ ლექსიკონში კი ვკითხულობთ: „აჭარა, აჭარის ასსრ, — ქართული ენის ერთ-ერთ კილოკავზე მოლაპარაკე ხალხის — აჭარლების სახელწოდების მიხედვით... ეთნონიმის წარმომავლობა გაურკვეველია“[48].

როგორც ჩანს, აჭარლების ქართველობაში სერიოზულად შეჰპარვია ეჭვი გამოჩენილ ტოპონიმისტს ვ. ნიკონოვსაც. წინააღმდეგ შემთხვევაში გაუგებარი ხდება ის ფაქტი, თუ რა მოტივით იქნა გამოთიშული სწავლულის მიერ შედგენილ რუკაზე (სადაც ნაჩვენებია საქართველოს მიწა-წყალზე სხვადასხვა ფორმანტზე დამთავრებული ქართული გვარების გავრცელება) ქართული გვარების განსახლების არეალი-

---

47 Г. Штайн, Путешествие по стране Руставели, М., 1984, с. 78.

48 М. Н. Мельхеев, Географические имена, топономический словарь, М., 1961, с. 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის ტერიტორიებიან-
რეთვე ახალციხის, ბოგდანოვკისა და ბოლნისის რაიონები[49].
ნამდვილად ძნელი დასაჯერებელია ესოდენ გამოცდილი მეცნ-
ნიერის ელემენტარული გაურკვევლობა იმ ყოველმხრივ
სანდო მონაცემებში, რომელთა გამოყენება არამც თუ აჭა-
რელთა ქართველობასთან დაკავშირებულ ეჭვებს აქარწყლებს,
არამედ უდავოს ხდის ქართველების მრავლად ცხოვრების
მოულოდნელად უგულებელყოფილ ფაქტს აფხაზეთის
ასსრ-ის და დღევანდელი სამხრეთ-ოსეთის ავტონომიური
ოლქის (ისტორიულ-გეოგრაფიული შიდა ქართლის) ტერი-
ტორიაზე (შესაბამისად 213 ათასი და 28 ათასი კაცი, 1979 წ.),
აგრეთვე მათ კომპაქტურ განსახლებას ახალციხის რაიონში
და, მეტისმეტად მცირე რაოდენობით, ბოგდანოვკისა და
ბოლნისის რაიონებში. ალბათ, ამ შემთხვევაში უფრო მეტად
ისაა საფიქრებელი, რომ რუკის შედგენისას ავტორმა უბრა-
ლოდ ყურადღება არ მიაქცია ან, შესაძლოა, შეგნებულადაც
აარიდა თავი ამ უტყუარ მასალას, რის გამოც მისი კარტო-
გრაფიული ნაღვაწი ვერ უძლებს კრიტიკას.

აჭარელთა მიჩნევას ქართველი ხალხის განუყოფელ ნა-
წილად, ეტყობა, ძალზე მტკივნეულად ეგუებიან მკითხვე-
ლისთვის უკვე კარგად ნაცნობ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ
ცნობარში ჩართული ეთნოგრაფიული რუკის შემდგენლებიც.
სხვაგვარად ხომ ძნელი ასახსნელი იქნებოდა ის ფაქტი, რომ

---

49 В. А. Никонов. География фамилии — источник этнической истории грузин, ж. «Советская этнография», 1983, № 1 (იხ. ნაშრომში ჩართული რუკა).

სსრკ-ის ხალხთა განსახლების მაჩვენებელ ამ რუკაზე ... ლი ქართველები (აღნიშნულნი ციფრით — 20) რუკის ქვემოთ დართულ ეთნიკურ სიაში შემდეგნაირად ფიგურირებენ — „грузины (включая аджарцев)". აღსანიშნავია, რომ ანალოგიური ხასიათის ნომინაციას რუკაზე გამოსახული 73 ხალხიდან ქართველების გარდა მხოლოდ ნენცები — „ненцы (включая энцев)" და ტუველები — „тувинцы (включая тофаларов)" დაექვემდებარნენ.[50]

ცხადია, ასეთ უცნაურ სიტუაციაში ძალაუნებურად გვებადება კითხვა — მაინც რა ნიშნის მიხედვით მოხდა აჭარლების მორიგი გამოცალკევება ქართველებისაგან და შესაბამისად, კვლავ შეიქმნა ქართველი ერის შემადგენლობაში აჭარელთა ყოფნა-არყოფნის საკითხის ალტერნატიულობის ყალბი შთაბეჭდილება? იქნებ აჭარელთა აღნუსხვას ქართველების შემადგენლობაში „გვამადლიან" იმდენად, რამდენადაც მათი კონფესიონალური სპეციფიკურობის ფაქტს უწევენ საათანადო ანგარიშს? მაგრამ ამგვარი ვარიანტის დაშვებისას ხომ გაუგებარი ხდება იგივე საზომის გამოუყენებლობა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე დისლოცირებული სხვა ეთნოსების მიმართ, რომელთა შინაგან სტრუქტურაში ეთნოკონფესიონალური ჯგუფები გაცილებით უფრო მკაფიოდაა წარმოდგენილი, ზოგიერთი მათგანი კი დამოუკიდებელ ეთნოსად ფორმირების ინტენსიურ პროცესშიცაა ჩართული. აკი

---

50 Народы мира, историко-этнографический справочник, М., 1988 (იხ. ნაშრომში ჩართული რუკა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქურთების, ლატვიელების, ესტონელების, რუსების, სომხებ-
ბის და თათრების რუკაზე დატანისას ფრჩხილები რატომღაც
არსადაა გახსნილი და აქ არსად არ წერია—„ქურთები (იე-
ზიდების ჩათვლით)", „ლატვიელები (ლატგალების ჩათვ-
ლით)", „ესტონელები (სეტუს ჩათვლით)", „რუსები (კერ-
ჟაკების, ბუხტარმელების, სტაროობრიადელების, მო-
ლოკნების ჩათვლით)", „სომხები (ხემშინების ჩათვ-
ლით)", „თათრები (კრიაშენების და ნადაიბაკების ჩათვ-
ლით)", მაშინ როდესაც სპეციალურ ლიტერატურაში აღია-
რებულია, მაგალითად ,იმავე იეზიდების თითქმის დამოუკი-
დებელ ეთნოსად ფორმირების ფაქტი. მაშ რაღა მაინცდა-
მაინც აჭარლების კონფესიონალური თავისებურება ეცათ
თვალში რუკის გამომცემლებს? რას მივაწეროთ ასეთი ცალ-
მხრივობა აჭარელთა ეთნიკური ვინაობის განსაზღვრაში?
ეგების მათ ისევ ძველ სტატისტიკურ დავთრებს, ეთნოგრა-
ფიულ რუკებს და იაფფასიან სასკოლო ატლასებს უერთგუ-
ლეს, სადაც სისტემატურად ვაფიქსირებთ ქართველებისა და
აჭარლების იდენტური „დაწყვილების" მაგალითებს. ან იქ-
ნებ აღნიშნული ხარვეზის შესაშურ სტაბილურობას გარ-
კვეულწილად უწყობს ხელს ორი სოციალისტური სახელმწი-
ფოს თანაარსებობის პირობებში ერთი ეთნოსოციალური
ორგანიზმის ფუნქციონირების უნიკალური ფაქტიც, რომლის
კვალიფიციურ ანალიზს და განზოგადებას კანონზომიერად
ახლავს თან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმოქმნა-
ში არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ რაღაც განსაკუთრე-
ბული ეთნიკური ფაქტორის მიერ ნათამაშევი მნიშვნელოვა-
ნი როლის უსათუოდ დანახვაზე ლოგიკური მეცადინეობის

ცოუნება. ყოველ შემთხვევაში ერთი რამ დაბეჯითებით ეროვნული ბიბლიოთეკა
ძლება ითქვას — შენიშნული „ლაფსუსიც“ აჭარელთა ქართველობის ეჭვქვეშ დაყენების უკვე არაერთგზის ხაზგასმული ტენდენციის ახალ კონკრეტულ გამოვლინებას წარმოადგენს, თუმცა ხსენებული ცნობარის სარედაქციო კოლეგიას ეს გარემოება, როგორც ჩანს, სრულებით არ აღელვებს.

ასეთი გაუმართლებელი ინდიფერენტულობის და, შეიძლება ითქვას, განუკითხაობის ფონზე კი, ვფიქრობთ, არაფერია გასაკვირი იმაში, რომ 1986 წელს ლაიფციგში გამოცემულ უნივერსალურ ლექსიკონში ქართველებზე მსჯელობისას აჭარლები, მეგრელებთან ერთად, კვლავ მცირე ეროვნებად არიან გამოცხადებული, თანაც იქვე მითითებულია, რომ მათი გამოყოფა მცირე ეროვნებებად 1917 წლის შემდგომ მოვლენას წარმოადგენს[51]. ცხადია, ქართველი ხალხის ეთნოსტრუქტურის მრუდე სარკეში წარმოსახვის ეს ფაქტიც საბჭოთა ლიტერატურაში დამოწმებული მცდარი კვალიფიკაციებისადმი სრული ნდობის გამოცხადების მანიშნებელია.

მოვლენათა ესოდენ არასახარბიელო მსვლელობა კი ვფიქრობთ ნამდვილად გვაძლევს იმის პროგნოზირების უფლებას, რომ პერსპექტივაში სავსებით მოსალოდნელია ქართველებისაგან არა მხოლოდ მეგრელების, ლაზების, სვანების, აჭარლებისა და წოვა-თუშების, არამედ დანარჩენი ეთნოტერიტორიული ჯგუფების — ქართლელების, კახელების, ფშავლების, ხევსურების, მესხების, ჯავახებისა და სხვათა

---

[51] Bibliographisches institut universal lexikon, in fünf banden, 2, Leipzig, 1986, გვ. 257.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოცალკევებისა და დამოუკიდებელ ხალხებად მათი გაერთიანების ტენდენციის გაძლიერებაც.

სხვათა შორის, სპეციალურ ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში აქამდე უკვე ჰქონდა ადგილი ქართველი ერის შემადგენელი უკლებლივ ყველა ტერიტორიული ჯგუფის აღსანიშნავად სწორედ ტერმინ „ხალხის“ ხმარებაში შემოტანის ცდებს, რომელთაგან ერთ-ერთს ჩვენ ზემოთ უკვე შევეხეთ ნ. ვოლკოვას სტატიის განხილვისას. საყურადღებოა, რომ იმავე სწავლულის სხვა ნაშრომებში კვლავ მეორდება ადრე შენიშნული შეცდომა, როცა გამოკვლევის ცალკეულ მონაკვეთებში „კავკასიის ხალხებად“ გამოცხადებულნი არიან შესაბამისად „ქართველები, აზერბაიჯანელები, ქურთები, ადიღები, ყუმუხები, ავარლები, ცუდახარელები, თუშები და ხევსურები“[52], ან კიდევ „სომხები, ქართველები, იმერლები, მეგრელები, თუშები, სვანები, ფშავლები, ხევსურები, გურულები, ქურთები, ადიღები, აფხაზები, ჩაჩნები, ნოღაელები, თალიშები, აზერბაიჯანელები“[53].

ამ თვალსაზრისით არანაკლებ დამაფიქრებელია სხვა მოსკოველი ეთნოგრაფის გ. სერგეევას ის მტკიცებაც, რომ მისი ნაშრომი დაიწერა „...1972—1977 წწ. ექსპედიციების

---

52 Н. Г. Волкова, Изобразительные материалы, как источник изучения материальной культуры народов Кавказа, сб. «Хозяйство и материальная культура народов Кавказа в XIX—XX вв.», вып. I, М., 1971, с. 106.

53 იქვე, გვ. 107—109, 112.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დროს უმთავრესად ხევსურებთან და მოხევეებთან, ხოლო შედარებით ნაკლებად — თუშებთან, მთიულებთან, ბაცბებთან და ქისტებთან შეკრებილი საველე მასალების საფუძველზე... განრიდების ჩვეულება ამ ხალხებთან ლიტერატურაში სპეციალურად არ განიხილებოდა"[54].

ამასთან, მოგვიანებით დაბეჭდილ სხვა წერილში იმავე მკვლევარს კვლავ მიზანშეწონილად მიაჩნია საქართველოს ხალხებად თუშების და ხევსურების გამოცხადება[55].

სამართლიან გაკვირვებას იწვევს ე. კრუპნოვის სოლიდურ მონოგრაფიაში კავკასიელ ხალხებად ისევ და ისევ ხევსურების და თუშების წარმოდგენის, აგრეთვე ერთ სიბრტყეზე, დამოუკიდებელი **ხალხების** სახით, ოსებისა და მთიულების მოხსენიების ფაქტიც[56], რასაც უპრიანია, დაემატოს მ. კოსვენის მიერ ხევსურების, ქართველების, სვანების და იმერლების აშკარა ურთიერთგამიჯვნისა და დამოუკიდებელი ხალხების დონეზე კავკასიის ხალხთა საკმაოდ ვრცელ სიაში (ლეკები, ყუმუხები, ავარლები, აფხაზები, სომხები, ოსები და სხვ.) მათი შეყვა-

---

54 Г. А. Сергеева, Об обычае избегания у народов Грузии, сб. «Полевые исследования института этнографии», 1974, М., 1975, с. 141.

55 Г. А. Сергеева, Вязаная обувь народов горного Дагестана, «Кавказский этнографический сборник», VIII, М., 1984, с. 134.

56 Е. И. Крупнов, Древняя история Северного Кавказа, с. 306, 309, 369, 367.

ნის კონკრეტული მაგალითიც[57]. იგივე ითქმის ა. მაგომეტოვის წიგნის იმ ადგილზე, სადაც ერთმანეთისაგან მოწყვეტით განიხილებიან, ერთი მხრივ, „ქართველი მთიელები“, ხოლო, მეორე მხრივ, ამიერკავკასიის ხალხებად მიჩნეული ხევსურები, სვანები და აფხაზები[58].

არანაკლებ დამაფიქრებელია ზოგიერთი ქართველი ავტორის ნაშრომში დაფიქსირებული ის მტკიცებებიც, რომელთა მიხედვით ქართველ მთიელთა სხვადასხვა ჯგუფები (სვანები, მოხევეები, მთიულები, ხევსურები, ფშავლები, წოვა-თუშები) სრულიად მოულოდნელად უძველესი კავკასიელი ხალხების მემკვიდრეებად, დამოუკიდებელ „ეროვნებებად“ ან უცხო ეთნიკური სამყაროს კუთვნილებად არიან წარმოდგენილნი: „შუა კავკასიონის მთელ სიგრძეზე განსახლებულნი არიან მთიელი ტომები: ჩერქეზები, ყაბარდოელები, ოსები, ანდო-დიდოელები, აფხაზები, სვანები, ჩაჩნები, ინგუშები, მოხევეები, მთიულები, ხევსურები, ფშავლები, თუშები და სხვ... ეს ტომები წარმოადგენენ კავკასიის უძველესი ხალხების შთამომავლებს... დასახელებულ ეროვნებათაგან („народность“) თითქმის ყველა... გამოყოფდა თავისი

---

57 М. О. Косвен, Семейная община и патронимия, М., 1963, с. 101, 186—188, 203—204.

58 А. Х. Магометов, Культура и быт осетинского народа, Орджоникидзе, 1968, с. 431.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსახლეობის ნაჭარბს"[59]; ან კიდევ: „ქართველებისა (ალბა-სავლეთ საქართველოს მთის რაიონები...) და ვაინახების (ჩაჩნები, ინგუშები, წოვა-თუშები და პანკისელი ქისტები) ნათესაობის სისტემის ტერმინთა ისტორიულ-ტიპოლოგიური ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია ნათესაობის ამ სისტემათა ისტორიული ტიპი"[60]. სამწუხაროდ, ანალოგიური ხასიათის უზუსტობებს სხვა ნაშრომებშიც მრალად ვაფიქსირებთ. მაგალითად, ერთ-ერთ წიგნში ვკითხულობთ: „ეს წესჩვეულება არსებობს ოსებში, ხევსურებში, აფხაზებში, მეგრელებში, თათრებში, ჩერქეზებში და კავკასიის სხვა ხალხებში"[61]. სხვა გამოკვლევაში დამოუკიდებელ ხალხებად ფიგურირებენ ქართველები, ფშავლები და ხევსურები[62], ხოლო სულ ბოლო დროს გამოცემულ კოლექტიურ განმაზოგადებელ ნაშრომებში ნათქვამია: „ჩრდილო კავკასიის ხალხებთან გვხვდება ხევსურული, ფშაური, თუ-

---

59 Г. С. Читая, Горное земледелие на Кавказе, „მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის", XI, რედ. გ. ჩიტაია, თბ., 1960, გვ. 54—55.

60 Н. В. Джавахадзе, Грузино-вейнахские параллели в типологии систем родства, «Кавказский этнографический сборник», IV, ред. А. Робакидзе, Тбилиси, 1986, с. 84.

61 Л. П. Семенов, Археологические и этнографические разыскания в Ингушетии в 1925—1932 годах, Грозный, 1963, с. 153.

62 И. Ю. Алироев, Кистинский диалект чеченского языка, «Известия Чечено-Ингушского научно-исследовательского института истории, языка и литературы», т. III, вып., 2, Гроз. 1962. с. 5.

შური, ქართული და აზერბაიჯანული სიმღერების ანალოგიური სიმღერები"[63]; ან კიდევ: „...ლერმონტოვი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა კავკასიის ხალხების ზეპირსიტყვიერებისადმი. ასე, „დემონსა" და „მწირში" მის მიერ გამოყენებულია ქართული, ხევსურული და ოსური ფოლკლორი"[64].

რასაკვირველია, ესოდენ სერიოზული დაბნეულობა ქართველი ხალხის შიდაეთნიკური სტრუქტურის ელემენტარული საკითხების გაშუქებისას ნამდვილად არ ეპატიებათ საკმაოდ მაღალი კვალიფიკაციის მქონე მკვლევართ, მით უმეტეს, რომ ამ რიგის ხარვეზები თითქმის სრულიად უცხოა მსოფლიოს სხვა ხალხების შიდაეთნიკური სტრუქტურის პრობლემებით დაინტერესებულ სწავლულთა ნააზრევისათვის. ჩვენთვის ხელმისაწვდომ სპეციალურ ეთნოგრაფიულ ლიტერატურაშიც ხომ აქამდე დავის საგნად საერთოდ არ ქცეულა ის ფაქტი, რომ ცალკეული ეთნოსების შიგნით გამოყოფილი სხვადასხვა ეთნოგრაფიული ჯგუფების თვითნებური გამოცხადება დამოუკიდებელ ხალხებად ყოვლად დაუშვებელია. მართალია, ეთნოსის თეორიის სხვადასხვა ასპექტების სკრუპულოზური კვლევის პროცესში ამ ბოლო დროს საკმაოდ სერიოზულად დაისვა საკითხი ეთნოსის შინაგანი დანაყოფების აღსანიშნავად ერთ შემთხვევაში „ეთნოგრაფიული ჯგუფის", ხოლო მეორე შემთხვევაში „სუბეთ-

---

63 История народов Северного Кавказа с древнейших времен по конца XVIII в., ред. Б. Б. Пиотровский, М., 1988, с. 308.

64 История Северо-Осетинской АССР, т. I, Орджоникидзе, 1987, с. 270.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკური ჯგუფის“ გამოყენების საკითხების თაობაზე. ... გვარი გრადაციის კრიტერიუმის გამონახვის ცდასაც ჰქონდა ადგილი, მაგრამ ასეთი სიახლის მიუხედავად, არც ამჟამად და არც წარსულში ჩვენ არ შეგვიძლია სანიმუშოდ თუნდაც ერთი ისეთი ნაშრომის დასახელება, სადაც რამდენადმე სერიოზულად იქნებოდა ეჭვქვეშ დაყენებული მაგალითად რუსი ხალხის შინაგანი დანაყოფების უსათუოდ ეთნოგრაფიულ ჯგუფებად (ან სუბეთნიკურ ჯგუფებად) და არა ხალხად (//ეთნოსად) სახელდების აუცილებლობა. სპეციალურ ლიტერატურაში აკი საბოლოოდ არის გადაწყვეტილი და იოტისოდენა ჭოჭმანის საფუძველსაც არ იძლევა ის ფაქტი, რომ რუსი ხალხის შემადგენლობაში აღირიცხებიან ცალკეული ეთნოგრაფიული (ან სუბეთნიკური) ჯგუფები (და არა ხალხები): პომორები, პოოზერები, ზაონეგელები, კარგოპოლები, პსკოვიჩები, მეშჩერა, ტუდოვლიანები, პოლეხები, გორიუნები, საიანები, უსტენლები, მარკოვლები, კამჩადალები, ურალელები, კერჟაკები, კაზაკები (დონის, ყუბანის, ურალის), რუსკოუსტინელები და სხვ. ასეთივე სიცხადეა სხვა ხალხების შიდაეთნიკურ სტრუქტურაშიც: მაგალითად, ლატვიელების შემდგენლობაში აღირიცხებიან სუბეთნიკური ჯგუფები (ან ეთნოტერიტორიული ჯგუფები): ლატგალები, ზემგალები, აუგშზემლები, ვიდზემლები; ლიტველების შიგნით: ჟემაიტელები, აუკტაიტელები, ზანგმანელები, ლივები; უკრაინელების შემადგენლობაში: ლიტვინები, გუცულები, ვერხოვინელები (ან ბოიკები) და ლემკები; ბელორუსების შიგნით: პოლეშჩუკები და პინჩუკები; პოლონელების შემადგენლობაში: ველიკოპოლიანები, ზალოპო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიანები, ლენჩიცანები, სერაძელები, სლენზანები, მაზურები, ვარმიაკები, პომორელები, გურალები, სანდომირელები, კრაკოვიანელები, ლიახები, კაშუბები; ჩეხების შემადგენლობაში: გორაკები, განაკები, ხოდები; მაკედონლების შიგნით: შოპები, მიაკები, ბრსიაკები, ტორბეშები; ხორვატების შიგნით: ზაგორელები, პრიგორელები, ლიჩანები და სხვ.; უნგრელების შემადგენლობაში: პალოცები, მატიობი, შაკიეზები, ხეტეშლები, გიოჩჟელები, რაბაკიოზელები, ჰაიდუკები, სეკეიები, ჩანგოები; გერმანელების შიგნით: ბავარელები, შვაბები, საქსონელები, ფრანკონელები; ფრანგების შემადგენლობაში: ნორმანდიელები, პიკარდელები, ბურგუნდელები, ოვერნელები და სხვ; ესპანელების შიგნით: არაგონელები, ასტურელები (ვაკეიროს), კასტილიელები, ლეონელები (მარაგატოს), კანტაბრიელები (პასიებოს); იტალიელების შემადგენლობაში: სიცილიელები, ასტურელები, კამპანელები, სარდინელები; იაპონელების შიგნით: რიუკიუსლები, ეტა და სხვ.; მონღოლების შემადგენლობაში: ხოიტები, ხამნიგანები, ხოტოიგოიტები, ჩახარები, დარიგანგა, სარტულები, უზუმჩინლები, ხორჩინები და სხვ.; ავღანელების შიგნით: ვაზირები და გილზაიები; თურქების შემადგენლობაში: იუიყები, თიურკმენები, თახთაჯიები, აბდალები, ზეიბეკელები და სხვ.; აზერბაიჯანელთა შიგნით: შახსევენლები, ყარაფაფახები, ყაზახელები, აირუმები, ბაიათები, ყარადაღლები, პადარები და სხვ.; სომხების შემადგენლობაში: ხემშინები, შირაკლები, არცახლები, აპარანელები, ვაიოცგორელები, კოტაიკლები, სასუნელები, ვასპურაკანელები და სხვ. ოსების შიგნით: ირონელები (მათ შორის თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაურელები, თუალები, ქურთათლები, ალაგირელები) და დიგორელები; აფხაზების შიგნით: აბჟუელები და ბზიფელები; ბალყარელების შემადგენლობაში: ბაქსანლები, ჩეგემლები, ხულამლელები, ბეზენგიელები, მალკარები და ა. შ.

ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, გვებადება კითხვა — საინტერესოა, რაღა მაინცდამაინც საქართველოს სხვადასხვა კუთხის მკვიდრთა აღსანიშნავად გაჭირდა შეძლებისამებრ ოპტიმალური ნომენკლატურული ტერმინის შერჩევა ცნება „ეთნოსსა“ და „ეთნოგრაფიულ ჯგუფს“ შორის არსებითი სხვაობის აუცილებელი დანახვის პირობით? იქნებ ზოგიერთ ავტორს ეთნოგრაფიულ მეცნიერებაში საყოველთაოდ მიღებული ნომინაციის პრინციპების ზედმიწევნით ზუსტად დაცვისა და საბოლოოდ დადგენილი ტერმინოლოგიური აპარატისადმი სრული ნდობის გამოცხადების საჭიროებაში მხოლოდ ქართველი ხალხის შიდაეთნიკური სტრუქტურის საკითხების კვლევისას ეპარება ეჭვი? ან ეგების შენიშნული პრობლემის არსებობა ცალკეულ სწავლულთა სუსტი ერუდიციით და აქედან გამომდინარე ჩვენთვის საინტერესო საკითხების მეტისმეტად ზერელე გაშუქებით ძალაუნებური დაკმაყოფილების პრაქტიკით აიხსნება?

არადა, დასმულ კითხვასთან დაკავშირებით ძალაუნებურად გვახსენებს თავს ის დრო, როდესაც არაერთი რუსი თუ უცხოელი (ზოგიერთ შემთხვევაში კი ქართველი) ავტორი საქართველოსა და საერთოდ მთელი კავკასიის ისტორიისა და ეთნონიმიკის საკითხებში აბსოლუტური გაურკვევლობის ან უბრალო დაუკვირვებლობის მიზეზით ქართველი ხალხის ცალკეული ეთნოგრაფიული ჯგუფების მისამართით სისტემატუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად იყენებდა ტერმინს — „ხალხი“. ამ მხრივ განსაკუთრებით ნაკლულია XIX ს-ისა და XX ს-ის დასაწყისის ლიტერატურა, სადაც ყოველ ნაბიჯზე ვადასტურებთ ეთნონიმ ქართველის (грузин) გავრცელების არეალის მაშინალური დავიწროებისა და მარტოოდენ ქართლელთა ან უკეთეს შემთხვევაში ქართლელთა და კახელთა აღმნიშვნელ ზოგად სახელწოდებად მისი წარმოდგენის მაგალითებს. ამასთან, აქვე უპრიანია საგანგებოდ განიმარტოს, რომ ხსენებულ პერიოდშივე ელემენტარული უცოდინარობით განპირობებული „უნებლიე“ შეცდომების პარალელურად იშვიათი რელიეფურობით იჩინა თავი ისტორიულ-ეთნოგრაფიული სინამდვილის შეგნებული ფალსიფიცირების, მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების მქონე ეთნონიმიის განზრახ დამახინჯების ტენდენციამაც, რაც იმხანად მთლიანად ჰპასუხობდა ცარიზმის კოლონიური პოლიტიკის ძირეულ ინტერესებს. როგორც ჩანს, სწორედ ამ უდავო ფაქტების ოფიციალურ განზოგადებად უნდა აღვიქვათ ერთ-ერთ ეთნოდემოგრაფიულ ცნობარში მოცემული ის მტკიცება, რომ „ქართველი ერის ცალკეული ჯგუფები (მაგ., სვანები, მეგრელები და ლაზები) წ ა რ ს უ ლ შ ი არაიშვიათად განსაკუთრებულ ხალხებად გამოიყოფოდნენ“[65], თუმცა, ვითარების ასეთნაირი შეფასებისას ნამდვილად ღირდა ყურადღების გამახვილება იმ საგულისხმო დეტალზეც, რომ ქართველი ხალხის შემადგენელი ეთნოტერიტორიული ჯგუფების „განსაკუთრებულ ხალხებად“ წარმო-

---

61 Народонаселение стран мира, под ред. Б. Ц. Урланиса, с. 381.

სახვა მარტოოდენ წარსულისათვის დამახასიათებელ მოვლენას კი არ წარმოადგენს, არამედ ამ რიგის ხარუნელობა აწმყოშიც რეგულარულად გვიხდება შეხვედრა. ამდენად, იმისათვის, რომ არც თუ შორეულ წარსულში და თანამედროვე ეპოქაში დაფიქსირებული უხეში შეცდომები შინაარსით თუ ფორმით ერთსა და იმავე მოვლენის ასოციაციას არ იწვევდეს, აუცილებელია გაცილებით მეტი სიფრთხილე და წინდახედულება ქართველი ხალხის ეთნოგენეზისა და ნაციონალური კონსოლიდაციის საკითხების ინტერპრეტაციაში. ცხადია, კვლევა-ძიების ამ უაღრესად საპასუხისმგებლო უბანზე დღეს აღარ უნდა გვჭირდებოდეს ტვინის ჭყლეტვა იმაზე, თუ მაინც რა შემთხვევაში (და რა მიზეზით) ა რ ი ც ნ ო ბ ე ნ და რა შემთხვევაში (და რა მოტივით) ა რ ც ნ ო ბ ე ნ ჩვენი ოპონენტები განსაკუთრებული აქტუალობით გამორჩეული საკითხების შეძლებისამებრ ობიექტურად გაშუქებისათვის სრულიად სავალდებულო ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მონაცემებს. ვფიქრობთ, ასეთ ანბანურ ჭეშმარიტებებზე საგანგებოდ ლაპარაკი ერთგვარად უხერხულიცაა, მით უმეტეს ჩვენს დროში, როდესაც ბევრ საგანსა და მოვლენას, როგორც იქნა, თავისი შესაფერისი სახელები ერქმევა და შესაბამისად არცოდნა არცოდვაში თითქმის აღარავის ეთვლება.

დაბოლოს, აღძრულ პრობლემასთან დაკავშირებით სინანულით გვინდა იმ სავალალო ფაქტის კონსტატაციაც, რომ მთელ რიგ შემთხვევებში ქართველი სწავლულებიც სერიოზულად სცოდავენ ეთნიკური ნომენკლატურით სარგებლობისას, რითაც უნებლიედ აძლიერებენ ჩვენი ხალხის ეროვნუ-

ლი მთლიანობის ხელყოფით აშკარად დაინტერესებულ „მო-
ღვაწეთა“ ან ქართველი ერის შიდაეთნიკურ მონოლ
ბაში მეტ-ნაკლებად დაეჭვებულ მკვლევართა პოზიციას.
არაიშვიათად ხომ ქართველ მეცნიერთა ნაშრომებშიც ვხვ-
დებით ისეთ მცდარ ფორმულირებებს, როგორიცაა „ხალხთა
ქართველური ჯგუფი“, „აჭარელი ხალხი“, „თუში ხალხი“
„ჩალმა-თუში და წოვა-თუში ეროვნებები“, „ქართული და
თუშური ენები“, „ქართველები, თუშები და კახელები“,
„ჩერქეზები, ყაბარდოელები, ოსები, ანდო-დიდოელები, აფ-
ხაზები, სვანები, ჩეჩნები, ინგუშები, მოხეველები, მთიულები,
ხევსურები, ფშავლები, თუშები — ეროვნებები“, „ჩეჩნები,
ინგუშები, წოვა-თუშები, პანკისელი ქისტები — ვაინახები“,
„მოხეველები, ჭართლელები, ერწოთიანეთლები, ცხრაზმელე-
ბი, ხადელები, ცხავატელები — მთის ხალხები“, „სვანი ხალ-
ხი“, „ერწოთიანელი ხალხი“ და ა. შ. ზოგჯერ კი ჩვენს ლი-
ტერატურაში ერთ სიბრტყეზე განიხილებიან ქართველი
ხალხის სხვადასხვა ეთნოტერიტორიული ჯგუფები, (მაგ. სვა-
ნები, ხევსურები, მთიულები, ფშავლები) და კავკასიის ხალ-
ხები (მაგ. ოსები, ბალყარლები, ინგუშები), ან საქართველოს
ცალკეული კუთხეები (მაგ. სვანეთი, ხევსურეთი, მთიულეთი)
და საქართველოს მომიჯნავე ქვეყნები (მაგ. ბალყარეთი, ოსე-
თი, ჩაჩნეთი, ინგუშეთი) და სხვ. ამასთან, განსაკუთრებით და-
მაფიქრებელია ამ რიგის ლაფსუსების ფიქსაცია ქართულ
ეთნოგრაფიულ ლიტერატურაში, სადაც დღემდე უკომენტა-
როდაა დატოვებული სხვადასხვა დროს გამომზეურებული
და არაქართველი მკითხველისათვის სავსებით ხელმისაწვდო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მი (არაიშვიათად კი მათთვის სახელმძღვანელო დებულებად ქცეული) არაერთი უნიადაგო მტკიცება[66].

ცხადია, ასეთი სერიოზული უზუსტობები დიდ ზიანს აყენებს ქართველი ხალხის ნაციონალური კონსოლიდაციის პრობლემის შეძლებისამებრ ობიექტური გაშუქებისა და საკვლევი თემატიკის ირგვლივ შემუშავებულ კონცეფციათა შემდგომი სრულყოფის საქმეს; ამგვარი ხარვეზებით აღსავსე სამეცნიერო პროდუქცია ნიადაგ ვერაფერში წაადგება საქართველოს ისტორიისა და ეთნოგრაფიის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველთა ფართო წრეებს. საქმეს აფუჭებს ანალოგიური ხასიათის შეცდომების პერიოდული გაყონვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებშიც, რაც არაკომპეტენტურ მკითხველს თუ მსმენელს ასევე უმახინჯებს წარმოდგენას ჩვენი ხალხის შიდაეთნიკურ სტრუქტურაზე.

ჯეროვან სიმაღლეზე აყვანას საჭიროებს აგრეთვე სხვადასხვა ნაშრომების რედაქტირებისა და რუს ავტორებთან შეზიარების საფუძველზე მომზადებული საგაზეთო თუ საჟურნალო წერილების პუბლიკაციის საქმეც, რასთან დაკავშირებით მეტად ნიშანდობლივია ჩვენთვის საინტერესო ეთნიკური ნომინაციის ტრადიციის სავალდებულო დაცვის თვალსაწიერიდან თუნდაც მესხების პრობლემისადმი მიძღვნილი ერთი სტატიის რუსულ და ქართულ ვარიანტებს შორის

---

66 ქართველ სწავლულთა ნააზრევისათვის დამახასიათებელ ამ რიგის ხარვეზებზე საგანგებოდ გვექნება საუბარი მომზადების სტადიაში მყოფ სპეციალურ ნაშრომში, სადაც ვრცლად გამომზეურდება ყველა ის უზუსტობა, რაც ამჯერად შეუფასებელი დაგვრჩა ჩვენი მიმოხილვის განსაზღვრული მოცულობის გამო.

შენიშნული არსებითი სხვაობა. საქმე ისაა, რომ თუკი ქართველი და რუსი ავტორების ამ ერთობლივი წერილის ქართულ საგაზეთო ვარიანტში სრულიად გარკვევითაა ლაპარაკი საქართველოდან გასახლებული მაჰმადიანი მესხების პრობლემებზე და მათი კონფესიონალური თავისებურების ხაზგასმის მიუხედავად მასში ოდნავადაც არაა ეჭვქვეშ დაყენებული მესხების კუთვნილება ქართველი ხალხისადმი[67], რუსულ ენაზე ერთი დღით ადრე გამოქვეყნებულ იმავე წერილში საუბარია მესხების, ვითარცა „მცირე ეროვნების“ („небольшая народность“) ან დამოუკიდებელი „ხალხის“ („народ“) ისტორიულ ბედუკუღმართობაზე. თანაც, აქვე, რატომღაც ერთმანეთის გვერდით, იდენტური მნიშვნელობის მქონე ცნებების სახით ფიგურირებს სახელწოდებები „მესხები“ („месхи“) და „მესხეთელები“ („месхетинцы“), რომელთა შორის ფაქტიურად წაშლილია სხვაობა[68]. სინამდვილეში „ეროვნება მესხი“ ან „მესხი ხალხი“ არ არსებობს[69], ხოლო ტერმინი „მესხი“ თავისი ისტორიულ-ეთნო-

---

67 ბ. რეზნიკი, ტ. ჭანტურია, იმედით მოდიან, კეთილად ვუმასპინძლოთ, მესხთა ძველი და ახალი პრობლემები, გაზ. „კომუნისტი“, 1 თებერვალი, 1989 წ., № 27.

68 Б. Резник, Т. Чантурия, Прийти с надеждой, принять с добром, О давних и нынешних проблемах небольшой народности, «Известия», 30 января, 1989 г. № 30, с. 2.

69 საყურადღებოა, რომ ცალკეულ პუბლიკაციებში უკვე ინერგება ცნება „მესხი ხალხი“. ასე, მაგალითად, ერთ-ერთი რუსი ავტორის წერილში დამოუკიდებელ ხალხებად იხსენიებიან ყირიმელი თათრები, ჩეჩნები, ინგუშები, გერმანელები, ბერძნები, თურქები, მესხები

გრაფიული შინაარსობრივი დატვირთვით ფარავს ქართველ-ეთნიკოსის ერთ განსაზღვრულ კომპონენტს (დაკომპლექტებულს ქართული ეროვნული თვითშეგნების მქონე ეთნოფორებით), მაშინ როდესაც „მესხეთელი“ აშკარად აღწერილობით-ტოპონიმიკური ხასიათის ცნებაა, რომელიც რამდენადმე უფრო ფართო გაგებით მოიცავს მესხეთში საკუთრივ ქართველებთან (ე. ი. მესხებთან) ერთად წარსულში მცხოვრებ და შემდეგ მათთან ერთად მესხეთიდან გასახლებულ ეთნიკურ ელემენტსაც (ე. ი. მესხეთის მთელ მოსახლეობას, როგორც ავტოხტონური, ისე არაავტოხტონური ელემენტის ჩათვლით). ასე რომ, ერთი და იმავე პუბლიკაციის ქართული და რუსული ვარიანტების შეპირისპირება თვალნათლივ ცხადყოფს ეთნიკური ნომინაციის ტრადიციის საზიანოდ რუსულ ტექსტში არსებითი „კორექტივების“ შეტანის ფაქტს, რაც სამართლიან გაკვირვებას იწვევს. ცხადია, ასეთი თვითნებური ცვლილებები არა იმდენად კონკრეტული პრობლემის გადაწყვეტას, რამდენადაც მის ხელოვნურ გართულებას და ახალ პრობლემათა მომრავლებას უწყობს ხელს, რაც უსათუოდ გასათვალისწინებელია სამერმისო მუშაობისათვის.

ამასთან, გაცილებით უფრო მეტ სიფრთხილეს და წინდახედულებას გვავალებს არაქართველი ავტორებისადმი სათანადო ეთნიკური ინფორმაციის გადაცემის პრაქტიკაც, მით უმეტეს, თუ აღნიშნული ინფორმაცია მომავალ ოფიციალურ პუბლიკაციას ედება საფუძვლად. წინააღმდეგ შემთხვევაში,

---

(Н. Иванова. Поиски «происков», ж. «Огонек», 1989 г. № 18, с. 7).

ცხადია, სისტემატურად მოგვიხდება აშკარა დეზინფორმაციის ასეთი შემთხვევების ფიქსაცია, როდესაც სინამდვილის დამახინჯების მორიგი ცდა უნებლიედ შემაგრებულია სწორედ ქართველი ინფორმატორის მტკიცებით.

ამდენად, შექმნილი სიტუაცია ბევრ საფიქრალს გვიჩენს და, უახლოეს მომავალში მაინც, ხაზგასმული ხარვეზებისაგან თავის საიმედოდ დაზღვევაზე საყოველთაო ზრუნვა ჩვენი თანამედროვე ცხოვრების ერთ-ერთ უმთავრეს და ურყევ ნორმად უნდა იქცეს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ЭТНОСТРУКТУРА ГРУЗИНСКОГО НАРОДА В КРИВОМ ЗЕРКАЛЕ

Резюме

На основе критической оценки специальной историко-этнографической и научно-популярной литературы в очерке скрупулезно освещены наиболее актуальные вопросы этноструктуры и этнической истории грузинского народа. Путем привлечения и тщательного анализа весьма обширного фактического материала показана полная необоснованность попыток некоторых авторов искусственно расчленить грузинскую нацию на отдельные мелкие части, поспешно осмыслив локальные этнографические (или этнотерриториальные) группы грузин (карталинцев, кахетинцев, мегрелов, сванов, лазов, аджарцев, месхов, имеретинцев, гурийцев, тушин, мохевцев, хевсуров, пшавов, мтиулов, гудамакарцев, джавахов, рачинцев, лечхумцев, кизикцев, ксанцев, ингилоицев) обособленными «народами», «народностями» (или же «этническими группами») и тем самым, поставить под сомнения сам факт реального функционирования грузинского этноса на уровне вполне монолитного этносоциального организма. Последовательная корректировка

указанных ошибочных суждений, позволяет автору еще раз констатировать, что подобного рода практика явно противоречит принципам объективного и всестороннего историко-этнографического изучения любой нации и народности и наносит серьезный ущерб не только закономерному процессу неуклонного роста и совершенствования национального самосознания среди всех без исключения этнофор той или иной конкретной нации (в данном случае среди грузин), но и межнациональным отношениям в целом. Ведь, грубо-искаженное и деформированное представление об этноструктуре, этнической номенклатуре и этнической истории другого народа нередко становится главным стимулятором накаливания ненужных страстей и возникновения трудно разрешимых проблем в сфере межнациональных отношений, о чем ярко свидетельствует исторический и современный опыт наиболее полиэтнических государств, к числу которых, в первую очередь, и относится Советский Союз.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სამეცნიერო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

სბ 4484

გამომცემლობის რედაქტორი რ. ფეიქრიშვილი
მხატვრული რედაქტორი გ. ლომიძე
ტექრედაქტორი ნ. ბოკერია
კორექტორი ს. წახნაგია
გამომშვები ელ. მაისურაძე

გადაეცა წარმოებას 9.10.1989; ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.2.1990;
ქაღალდის ზომა 70×108 1/32; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 3.85;
პირ. საღ. გატ. 4; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 2.73;

ტირაჟი 18000; შეკვეთა № 2634;

ფასი 60 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი, 380060,
კუტუზოვის ქ., 19

Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060,
ул. Кутузова, 19

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Итонишвили Вахтанг Валерианович

ЭТНОСТРУКТУРА ГРУЗИНСКОГО НАРОДА В КРИВОМ ЗЕРКАЛЕ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1990

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გამომცემლობა „მეცნიერება“ გამოსაცემად ამზადებს
შემდეგ წიგნებს:

გ. ჩ ი ტ ა ი ა, შრომები, ტომი I.

მ. გ ე გ ე შ ი ძ ე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში.

ა ვ ტ ო რ თ ა კ ო ლ ე ქ ტ ი ვ ი, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა